გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას — ძლევამოსილი ოქტომბრის რევოლუციის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას!
გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის დიად ურღვევ ერთიანობას!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1979 წლის კვირა 14 ოქტომბერი № 237 (17582) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბ. ლომიძის პლაკატი.

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი

## დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავს!

2. გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას — XX საუკუნის მთავარ მოვლენას, კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ კაცობრიობის მსოფლიო-ისტორიული შემობრუნების დასაბამს!

3. გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — ყველა ქვეყნის მშრომელთა მძლავრ იდეურ იარაღს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

4. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას — ძლევამოსილი ოქტომბრის რევოლუციის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას!

გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის დიად ურღვევ ერთიანობას!

5. დაე საუკუნოდ ცოცხლობდეს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის — ოქტომბრის რევოლუციის ბელადის, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელისა და ხელმძღვანელის სახელი და საქმენი!

6. დიდება კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს, ქვეყნად მშვიდობისათვის თანამიმდევრულ მებრძოლს!

7. გაუმარჯოს საბჭოეთის გმირ მუშათა კლასს — კომუნიზმის მშენებლობის მთავარ ძალას!

8. გაუმარჯოს სახელოვან კოლმეურნე გლეხობას — კომუნიზმის აქტიურ მშენებელს!

9. გაუმარჯოს საბჭოთა სახალხო ინტელიგენციას — კომუნიზმის აქტიურ მშენებელს!

10. გაუმარჯოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევ კავშირს!

დაე მტკიცდებოდეს საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა!

11. გაუმარჯოს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ძმურ მეგობრობას და ურყევ ერთიანობას!

12. გაუმარჯოს საბჭოთა კონსტიტუციას — მსოფლიოს პირველი სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს ძირითად კანონს!

გაუმარჯოს სოციალისტურ დემოკრატიას!

13. გაუმარჯოს სახალხო დეპუტატთა საბჭოებს!

დაე ფართოვდებოდეს მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის მონაწილეობა სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში!

14. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ილვაწეთ, რათა სრულად შეასხათ ხორცი განვითარებული სოციალიზმის შესაძლებლობებს!

15. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უფრო ფართოდ გაშალეთ მოძრაობა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის!

ისწავლეთ იცხოვროთ, იმუშაოთ და იბრძოლოთ ლენინურად, კომუნისტურად!

16. კომუნისტებო! მუდამ ყოფილიყავით სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის გაჩაღებული საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში!

17. საბჭოთა პროფკავშირებო! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში, პოლიტიკური, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული საკითხების გადაწყვეტაში! სრულყავით სოციალისტური შეჯიბრება და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობა!

გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას!

18. კომკავშირელებო, ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ბეჯითად ისწავლეთ კომუნიზმი! დაეუფლეთ ცოდნას, კულტურას, პროფესიულ ოსტატობას!

იყავით კომუნიზმის აქტიური, შეგნებული მებრძოლები!

19. გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის საიმედო თანაშემწესა და მებრძოლ რეზერვს, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს!

20. გაუმარჯოთ საბჭოთა ქალებს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს! დიდება დედას, რომელიც თავისი გულის სითბოს აქსოვს შვილების — სოციალისტური სამშობლოს ღირსეული მოქალაქეების აღზრდას!

მშვიდობა და ბედნიერება მთელი მსოფლიოს ბავშვებს!

21. საბჭოთა მეომრებო! დაუღალავად სრულყავით საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება, მუდამ მზად იყავით სამშობლოს, სოციალიზმის დიად მონაპოვართა დასაცავად!

გაუმარჯოს სსრ კავშირის მამაც შეიარაღებულ ძალებს — საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის საიმედო გუშაგს, საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დიდმნიშვნელოვან ფაქტორს!

22. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! გაზარდეთ შრომის ნაყოფიერება, ეფექტიანობა და ხარისხი თითოეულ სამუშაო უბანზე! იბრძოლეთ 1979 წლის გეგმის, მეათე ხუთწლედის დავალებების წარმატებით შესრულებისათვის!

23. დიდება მოწინავე კოლექტივებს, ხუთწლედის დამკვრელებს, რომლებიც კომუნისტური მშენებლობის ავანგარდში დგანან!

24. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ სოციალისტური წარმოების შემდგომ სრულყოფაში — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში!

უფრო სრულად გამოიყენეთ რეზერვები მაღალი საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მისაღწევად, უმაღლესი ხარისხის ნაწარმის გამოშვების გასადიდებლად!

25. მრეწველობის მუშაკებო! იბრძოლეთ ჩვენი სამშობლოს ინდუსტრიული ძლიერების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის! უფრო სწრაფად აითვისეთ და ეფექტიანად გამოიყენეთ საწარმოო სიმძლავრენი! დანერგეთ ახალი ტექნიკა, პროგრესული ტექნოლოგია და მოწინავე გამოცდილება!

26. მძიმე მრეწველობისა და მანქანათმშენებლობის მუშაკებო! აამაღლეთ წარმოების ტექნიკური დონე, უფრო სრულად უზრუნველყავით სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება სათბობზე, ენერგიაზე, ლითონზე, ნედლეულზე, დიდმწარმოებლურ მოწყობილობაზე!

გაზარდეთ თქვენი წვლილი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში!

27. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის საწარმოო ძალების დაჩქარებული განვითარებისათვის, გააძლიერეთ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობის ტემპი!

28. მრეწველობის მუშაკებო! გაზარდეთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, გააფართოვეთ მისი ასორტიმენტი, აამაღლეთ ხარისხი!

უფრო სრულად დააკმაყოფილეთ საბჭოთა ადამიანების მზარდი მოთხოვნილებანი!

29. მშენებლობის მუშაკებო! დროულად აამოქმედეთ საწარმოო სიმძლავრენი და ობიექტები, აამაღლეთ კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობა!

აშენეთ მკვიდრად, ეკონომიურად, თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე!

30. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკებო! გააუმჯობესეთ სახალხო მეურნეობის მომსახურება, უფრო სრულად დააკმაყოფილეთ საბჭოთა ადამიანების მოთხოვნები!

ყოველი ღონისძიებით განამტკიცეთ შრომითი თანამეგობრობა, ილვაწეთ მოძრავი შემადგენლობისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა მაღალეფექტიანი გამოყენებისათვის!

31. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი განვითარებისათვის! დააჩქარეთ მისი კომპლექსური მექანიზაციისა და ქიმიზაციის, მიწების მელიორაციის ტემპი, განავითარეთ წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია!

32. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! აამაღლეთ წარმოების ეფექტიანობა! ყაირათიანად გამოიყენეთ მიწა, ტექნიკა, სასუქები, მთელი მატერიალური და საფინანსო რესურსები! იბრძოლეთ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის წარმატებით მოსამზადებლად, 1980 წელს უხვი მოსავლის მისაღებად!

ფართო გზა — შრომის ორგანიზაციის პროგრესულ მეთოდებსა და ახალ ტექნოლოგიას!

33. სოფლის მეურნეობის მშრომელებო! იბრძოლეთ პირუტყვისა და ფრინველის მაღალი პროდუქტიულობისა და სულადობის ზრდის მისაღწევად, განამტკიცეთ მეცხოველეობის საკვები ბაზა!

ზარდეთ ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და სხვა პროდუქციის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა!

34. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! აქტიურად იბრძოლეთ რუსეთის სფს რესპუბლიკის არაშავმიწანიადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობის გარდაქმნის კომპლექსური პროგრამის განხორციელებისათვის!

35. სოფლის მეურნეობის, დამამზადებელი, სატრანსპორტო, გადამმუშავებელი, სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებო! იბრძოლეთ, რათა მინდვრებისა და ფერმების ყოველი კილოგრამი პროდუქცია შეინარჩუნოთ და ხალხის კეთილდღეობას მოახმაროთ!

36. ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკებო! აამაღლეთ მუშაობის ხარისხი, საბჭოთა ადამიანების მომსახურების კულტურა!

37. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! განამტკიცეთ შრომის დისციპლინა, გაუფრთხილდით ყოველ სამუშაო წუთს! მომჭირნედ და ეფექტიანად გამოიყენეთ ლითონი, ნედლეული, სათბობ-ენერგეტიკული რესურსები!

38. საბჭოთა კავშირის მოქალაქენო! გაუფრთხილდით და ამრავლეთ სოციალისტური საკუთრება! რაციონალურად, ყაირათიანად გამოიყენეთ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრენი, დაიცავით სამშობლოს ბუნება!

39. სახალხო მეურნეობის სპეციალისტებო! გამომგონებლებო და რაციონალიზატორებო! სრულყავით წარმოება, იბრძოლეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის! ყველგან დანერგეთ ახალი ტექნიკა და მოწინავე გამოცდილება!

40. საბჭოთა მეცნიერებო! აამაღლეთ კვლევის ეფექტიანობა, განამტკიცეთ მეცნიერებისა და წარმოების კავშირი!

დიდება საბჭოთა მეცნიერებას!

41. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენო, კულტურის მუშაკებო! მაღლა ატარეთ საბჭოთა ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის დროშა, შექმენით ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსი ნაწარმოებები!

42. სახალხო განათლების მუშაკებო! აამაღლეთ სწავლების ეფექტიანობა და ხარისხი! აღზარდეთ მოზარდი თაობა კომუნიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სწავლისა და შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით!

43. უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაკებო! ყოველნაირად გააუმჯობესეთ სპეციალისტთა იდეური წრთობა, თეორიული და პროფესიული მომზადება, განავითარეთ მეცნიერება, ამრავლეთ თქვენი წვლილი კომუნისტურ მშენებლობაში!

44. ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებო! აამაღლეთ სამედიცინო მომსახურების ხარისხი და კულტურა! უკეთ გამოიყენეთ მედიცინის მეცნიერების უახლესი მიღწევები!

45. ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებო, ფიზკულტურელებო და სპორტსმენებო! დანერგეთ ფიზიკური კულტურა საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში!

ამრავლეთ საბჭოთა სპორტის დიდება, შეუპოვრად ემზადეთ 1980 წლის ოლიმპიური ასპარეზობისათვის!

46. რევოლუციის, ომის და შრომის ვეტერანებო! ახალგაზრდობის დამრიგებლებო! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით ახალგაზრდა თაობის აღზრდაში!

47. პიონერებო და მოსწავლეებო, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებო! მხურვალედ გიყვარდეთ საბჭოთა სამშობლო! ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნას და შრომით ჩვევებს! ემზადეთ გახდეთ ლენინის საქმის, კომუნიზმის აქტიური მებრძოლები!

48. ძმური სალამი კომუნისტურ და მუშათა პარტიებს-იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის მტკიცე მებრძოლებს!

დაე მტკიცდებოდეს მთელი მსოფლიოს კომუნისტთა ერთიანობა და შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევ საფუძველზე!

49. გაუმარჯოს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს-საერთაშორისო მუშათა კლასის ნაცად და მძლავრ იარაღს!

50. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

51. ძმური სალამი სოციალისტური ქვეყნების ხალხებს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, ანტიიმპერიალისტური ბრძოლის გადამწყვეტი ძალა, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის ბურჯი!

გაუმარჯოს მოძმე პარტიებისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხთა ერთიანობას და შეკავშირებას!

(დასასრული მე-2 გვ.).

ცნობა 13 ოქტომბრისათვის

## გეგმის შესრულებას 103.507 ტონა ყურძენი აკლია

### ყურძენი — მარნებში!

დღის განმავლობაში მოიკრიფა 15.676 ტონა — 1.794 ტონით მეტი 12 ოქტომბერს მოკრეფილთან შედარებით.

სულ დამზადებულია 471.493 ტონა ყურძენი. გეგმა შესრულებულია 82 პროცენტით.

სიღნაღის, ახმეტის, ლაგოდეხის, მარნეულის, ლანჩხუთის რაიონებს, რომლებმაც უკვე შეასრულეს გეგმები, შეემატნენ თელავის რაიონი — 100,3 პროცენტი, საგარეჯოს რაიონი — 100,2 პროცენტი.

13 ოქტომბერს კახეთის რაიონებში დამზადდა 2.694 ტონით მეტი ყურძენი, ვიდრე წინა დღეს.

მალე შეასრულებენ დამზადების გეგმას ბოლნისის რაიონის მევენახეები, რომლებმაც ერთ დღეში 102 ტონა მოკრიფეს. მათ გეგმა 99,3 პროცენტით აქვთ შესრულებული.

დასავლეთ საქართველოს რაიონებში ერთი დღის მანძილზე მოიკრიფა 6.058 ტონა, რაც ნაკლებია 12 ოქტომბერს მოკრეფილთან შედარებით.

დამზადების ტემპი შეამცირეს თერჯოლის, წყალტუბოს, მაიაკოვსკის, ვანის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, ამბროლაურისა და ცაგერის რაიონების, ქალაქების ჭიათურისა და ტყიბულის ზონების მეურნეობებმა. (საქინფორმი).

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობა

მეცადინეობა განაახლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და კომუნისტური მშენებლობის აქტუალურ პრობლემათა სემინარ-ლექტორიუმმა.

ახალი სასწავლო წლის პირველი მეცადინეობა გახსნა სემინარ-ლექტორიუმის ხელმძღვანელმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სემინარ-ლექტორიუმი დიდ როლს ასრულებს, კერძოდ, საქმიან დახმარებას უწევს რესპუბლიკის ხელმძღვანელ კადრებს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის, პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შემდგომი სრულყოფის, სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების მეცნიერული საფუძვლების, ფორმებისა და მეთოდების ფუნდამენტურ დაუფლებაში. აღინიშნა, რომ გასულ სასწავლო წელს სემინარ-ლექტორიუმის მუშაობა ნაყოფიერი იყო, მისი მეცადინეობა ორგანულად უკავშირდებოდა იმ საარსებო მნიშვნელობის ამოცანების რეალიზაციის მდგომარეობას, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ დასახეს.

ახალი სასწავლო წელი პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში ჩაივლის მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ ეტაპზე, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებისათვის მზადების პერიოდში. ახალ სასწავლო წელს სემინარ-ლექტორიუმის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უზრუნველყოს, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელმა კადრებმა ღრმად შეისწავლონ და მტკიცედ შეითვისონ ვ. ი. ლენინის თეორიული მემკვიდრეობა, მუშაობის ლენინური სტილი.

სემინარ-ლექტორიუმის პირველ მეცადინეობაზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ა. ვ. ბაჩურინმა. მისი მოხსენება მიეძღვნა თემას: ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საარსებო პრობლემები იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფის თაობაზე და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ".

სემინარ-ლექტორიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. ნ. ენუქიძე, გ. ვ. კოლბინი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე და ჟ. კ. შარტავა.

(საქინფორმი).

### სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა: გადატანილ იქნეს დასვენების დღე 1979 წლის 11 ნოემბრიდან — კვირიდან 9 ნოემბერს — პარასკევს.

## 14 ოქტომბერი სოფლის მეურნეობის მუშაკის საკავშირო დღეა



თავიანთ პროფესიულ დღესასწაულში — სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად თბილისში ჩამოვიდნენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავენი. სურათზე (მარცხნიდან): ჩოხატაურის რაიონის ჩაისუბნის კოლმეურნეობის მეაბრეშუმე ნ. სირაძე, ვანის რაიონის სოფელ დიხაშხოს კოლმეურნეობის მებოსტნე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რ. შენგელია, ცხაკაიას რაიონის „გამარჯვების" კოლმეურნეობის მეჩაიე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. დადიანი, ზესტაფონის რაიონის სოფელ კლდეეთის კოლმეურნეობის მევენახე ზ. ლოლაძე, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის კოლმეურნეობის მეჩაიე მ. სურმანიძე, ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მწყემსი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი უ. რაინაული, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ერგეს მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი გ. ჭანიძე, მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. წითლიძე, ქარელის რაიონის ბრეთის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ნასყიდაშვილი, აბაშის რაიონის სოფელ ეწერის კოლმეურნეობის მესიმინდე, სოციალისტური შრომის გმირი ი. ხოშტარია, ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბრის კოლმეურნეობის მეჩაიე ნ. მიქელაძე, გალის რაიონის ოქუმის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ხ. შონია, თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობის მევენახე, სოციალისტური შრომის გმირი ნ. ქევხიშვილი.

ვლ. ბინზბურგის ფოტო.

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის

# მ ო წ ო დ ე ბ ა ნ ი

(დასასრული)

52. ძმური სალამი სოციალისტური ვიეტნამის გმირ ხალხს, რომელიც მტკიცედ იცავს თავის ეროვნულ სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, თავისუფლებას და დამოუკიდებლობას!

53. ძმური სალამი მამაც ლაოსელ ხალხს!

დაე მტკიცდებოდეს და ყვაოდეს ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც სოციალისტური საზოგადოების საფუძვლების მშენებლობის გზას ადგას!

54. ძმური სალამი კამპუჩიელ ხალხს, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ააშენოს დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული კამპუჩია!

55. ძმური სალამი ავღანელ ხალხს, რომელიც ახალი საზოგადოების აშენების გზას დაადგა!

დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

56. მხურვალე სალამი ირანელ ხალხს, რომელმაც ანტიიმპერიალისტური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუცია მოახდინა!

57. ძმური სალამი კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს — ექსპლოატაციისა და მონოპოლიათა ძალადობის წინააღმდეგ, მშრომელთა უფლებების, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის თავდადებულ მებრძოლს!

58. ძმური სალამი ხალხებს, რომლებიც კოლონიური უღლისაგან განთავისუფლდნენ და ახლა ვაჟკაცურად იბრძვიან ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სოციალური პროგრესისათვის!

59. მხურვალე სალამი აფრიკის ხალხებს, რომლებიც იმპერიალიზმის წინააღმდეგ, კოლონიალიზმისა და რასიზმისაგან კონტინენტის სრული განთავისუფლებისათვის, თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის იდეალების გამარჯვებისათვის იბრძვიან!

მსოფლიოს ხალხებო! უფრო მეტად დაუჭირეთ მხარი ზიმბაბვეს, ნამიბიის, სამხრეთ აფრიკის ხალხთა ბრძოლას რასისტული რეჟიმების წინააღმდეგ!

60. მხურვალე სალამი ლათინური ამერიკის ხალხებს, რომლებიც ვაჟკაცურად იბრძვიან იმპერიალისტური მონოპოლიების ძალების, რეაქციისა და ფაშიზმის წინააღმდეგ, თავიანთი ქვეყნების თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული განვითარებისათვის!

61. მხურვალე სალამი გმირ ნიკარაგუელ ხალხს, რომელმაც შინაური რეაქციისა და იმპერიალიზმის ძალებზე გაიმარჯვა და ახლა ვაჟკაცურად იბრძვის რევოლუციის მონაპოვართა დამკვიდრებისათვის, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებისათვის!

62. ძმური სალამი ჩილეს მუშათა კლასს, ყველა მშრომელსა და დემოკრატს, რომლებიც თავდადებით იბრძვიან ფაშისტური რეაქციის წინააღმდეგ!

63. ძმური სალამი ხალხთა თავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალიზმის მამაც მებრძოლებს, რომლებიც საპყრობილეებსა და ფაშისტურ დილეგებში იტანჯებიან!

თავისუფლება იმპერიალიზმისა და რეაქციის ტუსაღებს!

64. დაე მტკიცდებოდეს თანამედროვეობის სამი ძირითადი რევოლუციური ძალის — მსოფლიო სოციალიზმის, საერთაშორისო პროლეტარიატისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი მძლეთამძლე კავშირი!

65. მხურვალე სალამი არაბული ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან ისრაელის აგრესიის შედეგების სრული ლიკვიდაციისათვის, ანტიარაბული სეპარატული გარიგებების წინააღმდეგ, ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის!

მსოფლიოს ხალხებო! უფრო მეტად დაუჭირეთ მხარი არაბი ხალხების ბრძოლას იმპერიალისტური დიქტატის წინააღმდეგ!

დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და არაბული ქვეყნების ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

66. ევროპის ქვეყნების, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ხალხებო! მტკიცედ ილვაწეთ, რათა მთლიანად განხორციელდეს სრულიად ევროპის თათბირის საბოლოო აქტი, გადაიქცეს ევროპა მშვიდობის, უშიშროების, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესის კონტინენტად!

67. ევროპის ხალხებო! არ დაიშუროთ ძალღონე კონტინენტზე ახალ სახეობათა რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგების იმპერიალისტური გეგმების წინააღმდეგ ბრძოლაში!

გადაჭრით დაგმეთ ევროპაში გამალებული შეიარაღების ახალი ტური!

68. აზიის ქვეყნების ხალხებო! იბრძოლეთ მშვიდობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის დამკვიდრებისათვის, აზიის უშიშროების უზრუნველყოფისათვის!

69. მსოფლიოს ხალხებო! გააძლიერეთ ბრძოლა, რათა შეწყდეს გამალებული შეიარაღება, განხორციელდეს საყოველთაო განიარაღება, აღიკვეთოს ახალი მსოფლიო ომის საფრთხე, გაღრმავდეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელება!

ამხილეთ იმპერიალიზმისა და ჰეგემონიზმის, მილიტარიზმისა და ფაშიზმის — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მტრების ძალების ხრიკები!

70. მსოფლიოს ხალხებო! ილვაწეთ, რომ ძალის გამოუყენებლობა საერთაშორისო ურთიერთობაში კანონად იქცეს, ხოლო ბირთვული იარაღი სამუდამოდ აიკრძალოს!

გადაჭრით გაილაშქრეთ ახალ სახეობათა და ახალ სისტემათა მასობრივი მოსპობის იარაღის წარმოების გეგმების წინააღმდეგ!

71. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას!

ხორცი შევასხათ სკკპ XXV ყრილობის მიერ შემუშავებულ პროგრამას — მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამას!

72. გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

73. მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

---

„კომუნისტის" ინტერვიუ

## მსჯელობა მართვის პრობლემებზე

*დიდი სისტემების გარშემო...*

თბილისში, კინოს სახლში მიმდინარეობს დიდი სისტემების მართვის VI საკავშირო სკოლა-სემინარი, რომელიც მოაწყვეს საბჭოთა კავშირის ავტომატური მართვის ეროვნულმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითმა ცენტრმა.

ამ სკოლა-სემინარში, რომელსაც ჩვენი დედაქალაქი უკვე მეოთხედ მასპინძლობს, საბჭოთა სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებიც.

„კომუნისტის" კორესპონდენტი ესაუბრა მოსკოვის მართვის პრობლემების ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს, პროფესორ ვ. ბურკოვს:

— თუ არ ვცდებით, პრობლემა — თამაშის ტიპის იმიტაციური მოდელები და ორგანიზაციულ სისტემებში მართვა — პირველად არის შეტანილი სკოლა-სემინარის დღის წესრიგში; თუმცა პრობლემის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე მისი დასახელებაც კი მიგვანიშნებს, მაინც გთხოვთ რამდენიმე სიტყვა გვითხრათ; როგორც ამ დარგის სპეციალისტმა.

— თქვენ მიერ აღნიშნული პრობლემა მართლაც პირველად ხდება სკოლა-სემინარის მსჯელობის საგანი. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმდინარე წლის დადგენილების საფუძველზე. საქმე ის გახლავთ, რომ იმიტაციური მოდელირება (კერძოდ, თამაშის ტიპის მოდელირება) დღეისათვის ერთადერთი მეთოდია იმ რეკომენდაციათა მეცნიერული დასაბუთებისათვის, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს რთულ ეკონომიკურ სისტემებში დაგეგმვისა და სტიმულირების გაუმჯობესებას. ასეთი ეკონომიკური სისტემებია, მაგალითად, ახალი პროდუქციის გამოშვების დარგობრივი სისტემა, მომარაგების სისტემა და სხვ. ამჟამად ჯერ კიდევ არა გვაქვს შესაბამისი ერთიანი მეთოდოლოგია, რომ არაფერი ვთქვათ ორგანიზაციული სისტემების მოდელირების მეთოდიკურ დებულებებზე. წინ დიდი სამუშაო გველის და ჩვენი სკოლა-სემინარის ამოცანაა განვიხილოთ და დავსახოთ ამ საკითხების გადაწყვეტის გზები როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე სხვა სოციალისტურ ქვეყნებშიც.

**— ჩვენ ვიცით, რომ თბილისელ მესისტემეებს მჭიდრო მეცნიერული კონტაქტები აქვთ თქვენს ინსტიტუტთან...**

— ეს კონტაქტები საკმაოდ დიდი ხნისაა. უნდა შევნიშნო, რომ სხვებთან ერთად ქართველი მესისტემეები აქტიურ სისტემათა თეორიის დამუშავების პიონერები არიან, ეს თეორია კი მთლიანად ჩვენს ქვეყანაშია შექმნილი (აქტიურ სისტემებად შეგვიძლია ვიგულისხმოთ ადამიანი, ადამიანთა კოლექტივი; მთავარი პრობლემა აქ ადამიანთა, კოლექტივთა, ორგანიზაციათა მართვის ოპტიმალური საშუალებების გამოძებნაა). ასეთ პიონერთა შორის შემიძლია დავასახელო ჩემი ყოფილი მოწაფეები, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატები გ. აბდუშელიშვილი და ვ. გორგიძე.

აქტიურ სისტემათა თეორია ახლა ინტენსიურად ვითარდება როგორც საბჭოთა კავშირში, ისე სხვა სოციალისტურ ქვეყნებში, უწინარეს ყოვლისა კი ბულგარეთსა და პოლონეთში.

სკოლა-სემინარი დღეს ამთავრებს მუშაობას.

### გაზეთი ჩაერია, დაეხმარა

## კონტროლზეა მკითხველთა წერილები

თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის ღვინომასალების საამქროს მუშა-მოსამსახურეები რედაქციას ატყობინებდნენ, რომ ცუდ პირობებში უხდებათ მუშაობა.

როგორც სსგ „სამტრესტის" უფროსმა გ. ლოლაძემ გვაცნობა, რედაქციიდან სიგნალის მიღებისთანავე შეიქმნა კომისია, რომელმაც ადგილზე შეამოწმა განცხადება, გაესაუბრა განმცხადებლებს, ქარხნის ადმინისტრაციას. წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა.

მდგომარეობის გამოსასწორებლად „სამტრესტის" შესაბამისმა განყოფილებებმა შეიმუშავეს ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები. დაწყებულია მუშაობა საამქროში ჰაერის კონდიციონერებისა და სავენტილაციო საკნების მოსაწესრიგებლად, რაც 1 დეკემბრისათვის დასრულდება.

ჩვენი გაზეთის მკითხველი ა. ხიდეშელი გვწერდა, რომ ონის რაიონში არ ცხვება შავი პური და ეს განსაკუთრებით დიაბეტით დაავადებულებს აწუხებთ.

—სამართლიანი პრეტენზიაა, — გვწერს ცეკავშირის პურის ცხობის მრეწველობის სამმართველოს უფროსი კ. ძეხვიაშვილი. — თქვენგან წერილის მიღებისთანავე სამმართველომ ადგილზე 1.000 კგ. შავი პური გამოაცხობინა და განკარგულება გასცა, რომ ამიერიდან სავაჭრო ქსელი შეუფერხებლად მომარაგდეს ცხვილი პურით.

ვეძინის მეოთხე ჩასასვლელის № 17 მცხოვრებმა დ. იაშვილმა შეგვატყობინა, რომ მისი სახლის წინ ქუჩის მხარეს ჩამოინგრა საყრდენი კედელი, რაც საფრთხეს უქმნის მობინადრეებს.

რედაქციამ წერილს კონტროლი დაუწესა და გაუგზავნა ქ. თბილისის კალინინის რაისაბჭოს აღმასკომს. თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კ. შენგელიამ გვაცნობა, რომ სასწრაფო ზომების მიღების შედეგად საყრდენი კედელი მთლიანად აღდგენილია.

**შრომის** მეორე ჯგუფის ინვალიდმა ცაგერელმა ბ. ჩარკვიანმა რედაქციას დახმარება სთხოვა ლაშიჭალის დასასვენებელი სახლის საგზურის მიღებაში. ჩვენ შუამდგომლობა აღვძარით საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროს წინაშე.

როგორც მინისტრის მოადგილემ გ. გოშაძემ გვაცნობა, რედაქციის თხოვნა დაკმაყოფილებულია: სამინისტრომ დამატებით შეიძინა კურორტ ლაშიჭალის საგზური და გადაუგზავნა ცაგერის რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილებას მოქალაქე ბ. ჩარკვიანისათვის.

## სოფლის სამსახურში

**შაორჯესის** კოლექტივი ერთ-ერთია ტყიბულის თვრამეტ შრომით კოლექტივს შორის, რომელიც შეფობას უწევს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებს. მაგალითად, ლენინის სახელობის შახტის მუშებმა სოფელ ორპირის კოლმეურნეობაში ააგეს ოთხი ფარდული, ორი სასილოსე ორმო, ელექტრობა გაიყვანეს სოფლის ქუჩებში.

სოფლის მშრომელებს აქტიურად ეხმარებიან აგრეთვე ქვანახშირგამამდიდრებელი ფაბრიკის, გელათის სატრანსფორმატორო ქარხნისა და სხვა საწარმოების კოლექტივები.

---

საერთაშორისო ცხოვრება

# დედამიწის ზურგზე

გვატყობინებენ საქინფორმისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები

*გენერალური ასამბლეის სესიაზე*

## ზოგადპოლიტიკური დისკუსია დამთავრდა

**ნიუ-იორკი,** 13 ოქტომბერი. გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXIV სესიაზე ზოგადპოლიტიკური დისკუსიის უკანასკნელი დღე იყო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თითქმის 150 სახელმწიფოს სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა. უკან დარჩა დახლოებით სამი კვირა დაძაბული მუშაობისა, აზრთა სასარგებლო გაზიარებისა თანამედროვეობის ყველაზე საარსებო პრობლემებზე და უწინარეს ყოვლისა ბირთვული ომის თავიდან აცილების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებისა და გაფართოების, გაერთიანებული ერების წესდების მთავარი ამოცანის შესრულების — ხალხთა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისა და შენარჩუნების პრობლემებზე.

გამოსვლების დიდ უმრავლესობაში გამოხატულება პოვა იმ აზრმა, რომ მსოფლიო გაერთიანების უპირველესი მოვალეობაა ბოლო მოუღოს დამღუპველ გამალებულ შეიარაღებას.

მაღალი შეფასება მიიღო ისტორიულმა სამშვიდობო ინიციატივებმა, რომლებიც წამოაყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა თავის სიტყვაში, ბერლინში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 30-ე წლისთავის გამო გამართულ საიუბილეო ზეიმზე რომ წარმოთქვა.

სესიის დელეგატებმა ერთსულოვნად მოიწონეს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულების ხელმოწერა. დისკუსიის მსვლელობაში პრაქტიკულად ყველა ორატორმა დაუჭირა მხარი სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების უსწრაფესად ძალაში შესვლას.

კამათში აგრეთვე აისახა გაერთიანებული ერების მხრივ სსრ კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მიერ წამოყენებული იმ აქტუალური წინადადებების მხარდი მხარდაჭერა, რომელთა მიზანია გამალებული შეიარაღების ალაგმვა და საბოლოო ანგარიშით სრული განიარაღება.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსად მიიჩნიეს საბჭოთა წინადადება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე განიხილონ დიდმნიშვნელოვანი საკითხი — „საერთაშორისო ურთიერთობაში ჰეგემონიზმის პოლიტიკის შეუწყნარებლობის შესახებ".

*ირანი*

## ქურთისტანის ამბები

**თეირანი,** 13 ოქტომბერი. კვლავ დაძაბული ვითარებაა ირანის ქურთისტანში, სადაც გრძელდება ქურთ მეამბოხეთა რაზმებისა და ირანის ცენტრალური მთავრობის ჯარების შეიარაღებული შეტაკებანი.

როგორც გაზეთი „თეჰრან ტაიმსი" იუწყება, ქურთმა პარტიზანებმა ცეცხლი დაუშინეს მეჰაბადისა და მარივანის პოლიციის უბნებს, რის შედეგადაც მეჰაბადის პოლიციის უბნის უფროსი და სამი სხვა პოლიციელი დაიხოცნენ. ჰანი-გარმელსა და დეზავარში ქურთებმა ხელთ იგდეს ჟანდარმთა სასაზღვრო საგუშაგოები, შემდეგ ალყა შემოარტყეს და შეუტიეს მთავრობის ჯარების პოზიციებს ნოუსუდში, მაგრამ ისინი უკუაგდეს. გაცხარებული სროლა იყო აგრეთვე ბუკანის რაიონში. გაზეთი წერს, რომ მიმდინარე წლის სექტემბერში ავტონომიისათვის მოძრაობის მომხრეთა წინააღმდეგ მთავრობის ჯარების მიერ განხორციელებული ოპერაციების დროს დაიხოცა სულ ცოტა 600 ქურთი მეამბოხე, ხოლო 100 კაცი ისლამური სასამართლოების განაჩენისამებრ სიკვდილით დასაჯეს.

გაზეთი „ბამდადი" აღნიშნავს, რომ ქურთი ამბოხებულნი ბრძოლებს უმართავენ არმიისა და ჟანდარმერიის ძალებს აგრეთვე ბანიგანის რაიონში.

*ვიეტნამი*

## ახალი პროვოკაცია

**ჰანოი,** 13 ოქტომბერი. როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ჩინეთის შეიარაღებული რაზმები განაგრძობენ პროვოკაციებს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საზღვარზე. სხვადასხვა სახეობის იარაღის ხანგრძლივი სროლის შემდეგ 200-ზე მეტი ჩინელი ჯარისკაცი 6 ოქტომბერს შეიჭრა ვიეტნამის ტერიტორიაზე კაობანგის პროვინციის ჩუნგხანის მაზრის ნგოქხის თემში. მათ განზრახული ჰქონდათ სასურსათო საწყობების დარბევა და გაძარცვა. ვიეტნამელმა მესაზღვრეებმა და თავდაცვის ძალებმა საკადრისი პასუხი გასცეს დამრღვევთ. ჩინელებს ბევრი ჯარისკაცი დაეხოცათ და იძულებული გახდნენ თავიანთ ტერიტორიაზე დაეხიათ.

**ვაშინგტონი,** 13 ოქტომბერი. პრეზიდენტი ჯ. კარტერი მთელი რიგი პროვინციული გაზეთების რედაქტორებთან საუბრისას შეეხო ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში. მისი სიტყვებიდან ჩანდა, რომ შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს კვლავაც ყოველმხრივ დაუჭიროს მხარი ისრაელს, რომელიც ამ რაიონში თავისი ინტერესების მთავარ გარანტიად მიაჩნია.

## ერთ ტაფაში

### ჯ. კარტერი ახლო აღმოსავლეთში ამერიკის პოლიტიკის შესახებ

ჯ. კარტერმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავინდებურად ისრაელის „უშიშროების" იდეის ერთგულია და არ აპირებს მასზე „რაიმე ზეგავლენის" მოხდენას. პრეზიდენტი ქება-დიდებას ასხამდა ვაშინგტონის შუამავლობით დადებულ სეპარატულ ეგვიპტე-ისრაელის გარიგებას, რომელიც, როგორც ცნობილია, არათუ არ უწყობს ხელს ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და ყოვლისმომცველი მოწესრიგების მიღწევას, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო ამწვავებს ვითარებას ამ რაიონში.

ლიბანში პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკებზე ისრაელის მხედრიონის ბარბაროსულ თავდასხმებთან დაკავშირებით, რომლებიც ამერიკული იარაღის გამოყენებით ხორციელდება, ჯ. კარტერი დასჯერდა ზოგად განცხადებას იმის თაობაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „გმობს ყოველგვარ ძალადობას, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს იგი". ეს იყო მორიგი და აშკარა ცდა ერთ ტაფაში მოიქცია აგრესორი და მისი მსხვერპლი.

*ბოლივია*

## გადატრიალების ცდა ჩაიფუშა

**ლა-პასიდან** მიღებული ცნობებით, ბოლივიაში სცადეს მოეხდინათ შეიარაღებული ამბოხება ახლანდელი სამოქალაქო მთავრობის წინააღმდეგ. მე-6 საარმიო დივიზიის ნაწილებმა, რომელიც დაბანაკებულია ბენის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ ცენტრში ქალაქ ტრინიდადში, 600 კილომეტრზე დედაქალაქის ჩრდილო აღმოსავლეთით, ხელთ იგდეს დეპარტამენტის ძირითადი დაწესებულებანი, აგრეთვე გაზეთების რედაქციები და რადიოსადგურები. სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლები დაპატიმრებული არიან.

მეამბოხეებმა რადიოთი გადასცეს მანიფესტი, რომელშიც მოითხოვეს რესპუბლიკის პრეზიდენტის გადაყენება, მისი შეცვლა სამხედრო პირით და ეროვნული კონგრესის დათხოვნა.

მაგრამ სხვა სამხედრო ნაწილებმა არ დაუჭირეს მხარი მეამბოხეებს. ბოლივიის მთავრობამ განაცხადა, რომ სახელმწიფო გადატრიალების ცდა ჩაიფუშა და რომ მთავრობა სრულ კონტროლს უწევს მდგომარეობას. რესპუბლიკის პრეზიდენტის ვალტერ გევარა არსეს სიტყვით, მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე სიმშვიდე სუფევს.

ხალხის ფართო მასებმა გადაჭრით დაგმეს მეამბოხეები და მათი მხარდამჭერნი.



## ქალაქი მოიწამლა



**ამერიკის შეერთებული შტატები.** ჯანმრთელობას საშინელი საფრთხე შეექმნა უკანასკნელ მეოთხედში ჩამოწოლილი (სმოგის) გამო (ზემო სურათზე). ექიმებმა ლოს-ანჯელესის მცხოვრებთა ქალაქში საუკუნის ყველაზე ძლიერი ტვიფის ლოს-ანჯელესის ჰაერი ოფიციალურად საშიშად გამოაცხადეს. მოსახლეობას ურჩიეს რაც შეიძლება ნაკლებად იყვნენ ქუჩაში. ექიმები, მაგალითად, იძულებული გახდნენ ოთხი წლის ჯენიფერ ლარა (სურათზე ქვემოთ) იზოლირებულ მინის ბოქსში მოეთავსებინათ, რადგან იგი ქუჩის ჰაერით მოიწამლა.

აპ-იუპი-საკდესის ტელეფოტო.

კაპიტალის სამყაროში

## ხელოვნება... ბირჟაზე



**ამას წინათ** მონაკოში გაიყიდა მეფე ლუდოვიკო XV-ის კუთვნილი კარადა (სურათზე). იგი იყიდა საუდის არაბეთის ცნობილმა მილიარდერმა აკრამ ოდჯეხმა და გადაიხადა ფანტასტიკური თანხა — 7,6 მილიონი ფრანკი (დაახლოებით ათასი მსუბუქი ავტომობილის ფასი).

რად დასჭირდა მილიარდერს მისი ყიდვა? უბრალოდ, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ჰქონდეს სრული გარანტია — 7.600.000 ფრანკი თავის თავს შეინარჩუნებს. როცა იგი რაიმეს ყიდულობს, ლამაზ ნივთში კი არ იხდის ფულს, არამედ ფასეულობას იძენს. მან კარგად იცის, რომ წლითიწლობით ეს კარადა — ხელოვნების ნამდვილი შედევრი, სულ უფრო გაძვირდება. მან ასევე კარგად იცის, რომ ფულის ამგვარად დაბანდება გაცილებით უფრო სასარგებლოა და საიმედო, ვიდრე, მაგალითად, აქციების შეძენა. ამიერიდან ოდჯეხისათვის ეს საავეჯო ნივთი იგივე ფულია და კიდევ უფრო ძვირფასი რამ, რადგან მას არც გაცვეთა ემუქრება და არც ინფლაცია.

ყოველწლიურად ევროპასა და ამერიკაში დაახლოებით 200 მილიონი დოლარი გადადის ხელიდან ხელში ხელოვნების ნიმუშების სახით.

ბევრი მდიდრის სასახლე გაჭედილია ანტიკვარული ავეჯით, ფაიფურით, ვერცხლეულით, სურათებით, — ყოველივე ეს ფასდაუდებელი სიმდიდრეა. ამ უზადო კოლექციათა სადარაჯოდ საჭირო ხდება შეიარაღებულ მცველთა დაქირავება, ელექტროსიგნალიზაციის ურთულესი სისტემის მოწყობა.

ამგვარი პირდაპირი კავშირი ფულსა და ხელოვნებას შორის კაპიტალიზმის ევოლუციის შემადგენელი ნაწილია. ახლა კაპიტალისტი უბრალოდ ელის, როცა ხელოვნების ამა თუ იმ ნაწარმოებს დაედება მყარი ფასი და შემდეგ ყიდულობს მას.

ვან-გოგი სიღარიბეში გარდაიცვალა, ისე, რომ თავის სურათებში კაპიკიც არ აუღია. დღეს კი როკფელერები, დიუპონები, მელონები და მათი მსგავსნი საარაკოდ დიდ თანხას იხდიან ვან-გოგის სურათებში, რომლებიც ყოველწლიურად ძვირდება.

აი, მაგალითად, ლონდონის ანტიკვარული ფირმა, „სოტბის" ინდექსი, რომელშიც მოყვანილია ფრანგ იმპრესიონისტთა ტილოების ფასები. ვეცნობით მას და ვიგებთ, თუ რატომ იზიდავს ხელოვნება დიდი ბიზნესის მესვეურებს. ინდექსის მონაცემებით, 1951 წლიდან მოყოლებული, მონეს ნაწარმოებთა ფასი 25-ჯერ გაიზარდა. ამავე პერიოდში ბუდენის ტილოების ფასმა 21-ჯერ, სისლეისამ — 20-ჯერ იმატა, პისაროსამ — 19-ჯერ, ფანტენ-ლატურისამ — 15-ჯერ, რენუარისამ — 11-ჯერ.

ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ხელოვნების ნამდვილი ნიმუში გაიაფებულიყოს. ათი წლის წინათ დეგას შედევრი (გუაში და პასტელი) რეკორდულად დიდ ფასად გაიყიდა — 229 ათას გირვანქა სტერლინგად. იმავე აუქციონზე პარიზში რენუარის ტილო გაიყიდა. 126 ათას გირვანქად. სამი წლის წინათ კი რენუარის ნახატი უკვე 1,8 მილიონ დოლარად გაიყიდა. ასი წლის წინათ ეს სამი სურათი მათ მფლობელებს 1000 ფრანკზე მეტ შემოსავალსაც არ მოუტანდა.

ფერწერის ნიმუშების გარდა ხელოვნების ბირჟაზე დიდი მოთხოვნილებაა ფრანგულ ავეჯზე, ძველ წიგნებზე, ანტიკურ ვერცხლზე და ძვირფასეულობაზე, გრავიურებზე, არქეოლოგიურ ნაპოვნებზე — ყველაფერზე, რაც იშვიათობაა და რისი განმეორებაც არ შეიძლება. შედევრების ღირებულებად მდიდრებს მათი ფასი მიაჩნიათ, რადგან ბურჟუაზიულ სამყაროში ფასეულობის ერთადერთი საზომი ფულია.

პ. სალაძე.

ჩვენი კომენტარი

## უპერსპექტივო კურსით

**ვაშინგტონში,** თეთრ სახლში გამართული ყოველი პრესკონფერენცია ჩვეულებრივ დიდ ინტერესს იწვევს ხოლმე ჟურნალისტთა და სპეციალისტთა შორის. ეს ინტერესი გაორკეცებულია, როდესაც პრესკონფერენციას თვით პრეზიდენტი მართავს, ხოლო თუ ამასთან იგი რაიმე პირველხარისხოვან საერთაშორისო მოვლენას ემთხვევა და კითხვებზეც პრეზიდენტი უპასუხებს, თეთრი სახლის პრეს-ცენტრში ტევა აღარ არის.

ასე იყო 10 ოქტომბერსაც, ვინაიდან ყველამ წინასწარ იცოდა, რომ კარტერი იძულებული იქნებოდა ოფიციალური შეფასება მიეცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ ბერლინში საზეიმო სხდომაზე წამოყენებული ახალი სამშვიდობო წინადადებებისათვის.

მკითხველმა უკვე კარგად იცის, რა ფართო საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელის ისტორიულ გამოსვლას.

ამავე დროს როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე დასავლეთ ევროპაში რეალისტურად მოაზროვნე პოლიტიკური მოღვაწენი სისტემატურად აფრთხილებდნენ ვაშინგტონს, რომ ევროპაში ამერიკის ბირთვული პოტენციალის არაპროვოცირებული ზრდა რეგიონში ძალთა თანაფარდობისა და სტაბილურობის დარღვევას გამოიწვევს და საბჭოთა ხელმძღვანელობას კონტრზომებისაკენ უბიძგებსო.

და აი, ასეთ სიტუაციაში, როდესაც ზოგიერთნი ელოდნენ, რომ საბჭოთა კავშირი აჰყვებოდა პენტაგონის კურსს, მძლავრად გაისმა ლ. ი. ბრეჟნევის განცხადება ცალმხრივ ინიციატივათა შესახებ — ჩვენ იმ შემთხვევაშიც კი მზად ვართ საშუალო რადიუსის ბირთვული რაკეტები შევამციროთ ჩვენი ქვეყნის დასავლეთ რაიონებში, თუ ევროპაში არსებულ დონეზე დარჩება და არ გაიზრდება ანალოგიური იარაღის რაოდენობაო.

ასეთი კეთილი ნების წინადადება არც ერთ ეპოქაში, არც ერთ მთავრობას არ წამოუყენებია მშვიდობის დაცვის ინტერესებით.

თეთრი სახლის პირველი რეაქცია შაბლონურ-დიპლომატიური იყო — ადმინისტრაცია „გულდასმით შეისწავლის" საბჭოთა კავშირის ინიციატივებსო. 10 ოქტომბერს კი კარტერს პირდაპირ დასმულ კითხვებზე უფრო კონკრეტული პასუხი უნდა გაეცა. „ჩვენი მოკავშირეები და ჩვენ, — განაცხადა პრეზიდენტმა, — გულდასმით ვაფასებთ თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის მნიშვნელობას... ეს წინადადება საინტერესოა. ამასთან ისეთი წინადადებაა, რომელიც შეიძლება მრავლისმთქმელი გამოდგეს".

სამწუხაროდ, კარტერმა, იქვე კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მაინცდამაინც არ დაგიდევს თანამიმდევრობას და მომდევნო კითხვაზე გაცემულ პასუხში საბჭოთა ინიციატივების მნიშვნელობის დაკნინებას შეეცადა.

ამგვარი მეტამორფოზა იოლი ასახსნელია — თუ პრეზიდენტი ბოლომდე პატიოსნად, ობიექტურად შეაფასებდა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვების რეალურ მნიშვნელობას, მაშინ უკვე ძნელი გასამართლებელი იქნებოდა ევროპის ტერიტორიაზე ამერიკის ახალი რაკეტების განლაგების საჭიროება, ხოლო ამ იდეაზე ხელის აღება კი მიუღებელია პენტაგონისა და ქვეყნის მემარჯვენე წრეებისათვის, რომელნიც დღენიადაგ ემუქრებიან პრეზიდენტს, რომ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულებას „ჩაშლიან" სენატში, თუ იგი საჭირო „სიმტკიცეს" არ გამოიჩენს შეიარაღების სხვა პროექტებთან დაკავშირებით. და „მტკიცე" პრეზიდენტიც სულ ახალ-ახალ დათმობებზე მიდის. ამიტომ არის, რომ როგორც თვით შეერთებულ შტატებში, ასევე მის გარეთაც, ვაშინგტონის კურსი უკვე ბევრს უპერსპექტივოდ მიაჩნია.

ს. ცინცაძე,

„კომუნისტის" პოლიტიკური მიმომხილველი.

ირაკლი აბაშიძე

# ახალი ლექსები

## შვიდასი წელიც...

შვიდასი წელიც მოგცეს გამჩენმა,
შენ არც ჩათვალო
წუთის ოდენად —
უნდა წახვიდე გულის დამძერლად,
უნდა წახვიდე მოულოდნელად.

ცინცხალი,
როგორც ძველი სახნისი,
ქვეყნად ათასჯერ ნახმარ-ნათრევი:
„რა უეცარი",
„რა დანაკლისი",
„ო, რა უდროო"
„რა ნაადრევი".

როცა შენც გიწევს
ის ღვთის გაწევა,
როცა შენც გიხმობს
ის ცის ბარათი —
შენს წასვლას უნდა
ერქვას გაქცევა,
შენს წასვლას უნდა ერქვას ღალატი.

რომ შენი კვალიც
აჩნდეს ბუნებას,
ბეჭდით ალბეჭდე
შენი ფურცელი,
რომ ვერ შეგცვალოს საუკუნემაც,
თუმც ღმერთს არავინ ჰყავს შეუცვლელი.

წლებზე მეფობაც,
წლების დაძლევაც
შენ არ ჩათვალო
წუთის ოდენად —
უნდა წახვიდე სულ ნაადრევად,
უნდა წახვიდე მოულოდნელად.

## მაშ, გაზაფხულდა

მაშ, გაზაფხულდა.
მაშ, კვლავ ზედიზედ
განათდნენ მთები
და გადისარკნენ...
მაშ, კოლხეთისკენ, მაშ, კახეთისკენ,
მაშ, მესხეთისკენ, მაშ, ქართლისაკენ!

მაშ, ვერ იზამთროს,
მაშ, ვერ იავდროს,
მაშ, ვერ ემუქროს
მიწას დალუპვით...
მაშ, იქით, სადაც,
ვით ილიას დროს,
ვაზი ლვრის ლხენით
ცრემლს ლაპა-ლუპით.

მაშ, იქით, იქით,
სადაც მასპინძლობს
ფერის, მუსიკის, მზის ჩაქსოვება.
მაშ, იქით, სადაც,
ვით აკაკის დროს,
ფრთას ისევ შვებით
შლის სასოება.

სამშობლოვ, ჩემო,
დარდო მრავალის,
შენს შვილთა ფიქრად
შენ გაჩენილხარ;
ბედნიერება სხვა რამ სად არის, —
თუნდ ერთი სუნთქვით მითხრა:
— ჩემი ხარ!

რომ ჩემს ლხინს ყველას
და გულის კვნესას
შენ შენად თვლიდი
და გიხაროდა;
რომ შენი მიწა
და შენი ზეცა
ჩემს სიტყვას ხმლად და
წამლად ხმარობდა!

მაშ, კოლხეთისკენ, მაშ, კახეთისკენ,
მაშ, მესხეთისკენ,
მაშ, ქართლისაკენ!
მაშ, გაზაფხულდა;
მაშ, კვლავ ზედიზედ
გაშუქდნენ მთები და გადისარკნენ.

## ომის წლები და მშვიდობის წლები

რა ზანტზე ზანტი
ის ოთხი წელი;
რა სწრაფზე სწრაფი
ოცდათოთხმეტი...
ანთებულ მკერდზე შენ შეგრჩა ხელი,
კაცურად გონზე როცა მოხვედი.

არამც თუ წლებს და
არამც თუ თვეებს,
ომის თვით წუთსაც
ალადგენ ყველას;
იმ მდუღარ დღეებს,
იმ ღამის თევებს,
იმ გზებს და ხანძრებს,
რისხვას და წყევლას.

ხოლო წლებს,
სუნიც რომ არ სდით დენთის,
თითქოს შიგ აკლდეთ
სიდინჯის ნებო...
და ამბობ შენთვის,
და ამბობ შენთვის:
— ნელი სვლა, ნელი, მშვიდობის წლებო!

## და დგას ბოლნისი...

იდგა გელათი,
იდგა ურბნისი,
იდგა ყინწვისი,
იდგა ბოლნისი...
მე კი: — მოძველდა დღეს ფუტურიზმი,
მე კი: — მოძველდა დღეს სიმბოლიზმი.

იდგა ვარძია,
იდგა ხერთვისი,
იდგა ბედია,
იდგა დმანისი...
მე კი: — მოძველდა დღეს ჰერმეტიზმი,
მე კი: — მოძველდა დღეს ურბანიზმი.

— გზა, გზა უახლესს,
მხოლოდ უახლესს...
გზა, გზა უმაღლესს,
მხოლოდ უმაღლესს...
მერე გასინჯეს,
მერე მოაკლეს,
მერე გაკმინდეს, მერე უარყვეს.

ნაირ-ნაირი,
ფერად-ფერადი
იყო — არ არის,
იყო — არ ისმის...
და დგას ურბნისი.
და დგას გელათი.
და დგას ბოლნისი.
და დგას დმანისი.

## მაღხა

დღეს ნასოფლარი

სულ ერთი ფეხით ვერ მოგისწარი
შენი ბართლომეს ტანჯულ ღამეში;
დაბნელდა შენი
ოქროს ცისკარი
შენ, ჩემო ფესვო „აღთქმის მხარეში".

არა იყო და,
იყო ზღაპარი;
არა იყო და,
იყო იგავი...
ისე დაინგრა შენი სახლ-კარი —
არც კი იცოდი შენ ვინც იყავი.

შორეთის, რაღაც უსაზღვროების,
შორეთის, რაღაც მტკვრის და არაგვის —
უცხო სიმაღლის,
უცხო ზნეობის,
უცხო სიმტკიცის
უცხო არაბი.

უცხოდ ცვალება
უცხო ტაროსის,
უცხო მუქარა მექა-მედინის;
ყალყზე შემდგარი
ცხენი ჯვაროსნის;
ხმალი, მრისხანე სალაჰ-ედდინის.

არა მონობა
ათას მავანთა,
არა გახიზნვა სადმე ტყე-ველად —
შენი ბუბუნი ჯვრის გალავანთან:
„დექით მტკიცედ და შეურყეველად"!

სული ვახტანგის, სული გუბაზის;
წმინდა სანთელი აწვდილ ხელებში...
ათას ხუთასი,
ათას ხუთასი
მწველი ზაფხული „ვარდის ღელეში".

შენი ნავარდი, შენი ჭენება,
შენი ცრემლი და შენი ფანდური
დღეს მოგონება,
დღეს მოჩვენება,
სამხრეთის გზებზე მტვრად გაფანტული.

დაბნელდა შენი ოქროს ცისკარი
შენი ქართველი მამის ბინაში...
სულ ერთი ფეხით
ვერ მოგისწარი,
შენ, ჩემო ფესვო პალესტინაში.

## ელვის, უცების...

ჩამოისვენე.
შენ ხარ დაღლილი.
და შენ უძლები და შენ უდრეკი
ისევ მეფურად,
ისევ ბალღივით
შენს უსასრულო გზას გაუდექი.

ჯერ წინ მთებია,
ჯერაც მთავარი,
ჯერ წინ სამყაროს
მთელი ჰიმნია;
ჯერ ეს ქვეყანაც,
ჯერ ეს მთა-ბარიც
შენ თვით მოვლითაც არ მოგივლია.

შენი სიცოცხლე
არის სულ ერთი
ელვის გაფრენა,
ელვის, უცების;
შენ არ გინახავს ჯერ ყინულეთიც,
შენ არ გინახავს ცა პოლუსების.

ჯერ დღეს აფეთქდი,
ჯერ დღეს ამღერდი,
ჯერ ხარ კაცურად
მხნეც და მხდალიცა;
ჯერ კოსმოსიდან,
ერთის დახედვით,
შენ არ გინახავს ეს დედამიწა.

არ მოგწყენია
ჯერ მზის ალმური
შენი თბილისის,
შენი თაბორის;
არ წამოჭრილხარ ჯერ სიხარულით
იმ შედარების, იმ მეტაფორის.

ჯერ შენ ხსოვნაშიც
არ ჩაგიმარხავს,
რაც გულს შეჰყრია,
რაც სულს შებმია;
ჯერ არ გინახავს, ჯერ-არ გინახავს,
ვინც და რაც ქვეყნად შენ გიძებნია.

ჩამოისვენე.
შენ ხარ დაღლილი.
და შენ უდრეკი, და შენ უტეხი
ისევ მეფურად,
ისევ ბალღივით
შენს უსასრულო გზას გაუდექი.

1979 წ.

# წიგნის მოყვარულთა კლუბი

აბასთუმანი. ოთხი წელია აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს წიგნის მოყვარულთა კლუბი, რომელსაც ხელმძღვანელობს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ა. მათეშვილი.

კლუბის მთავარი ამოცანაა პროპაგანდა გაუწიოს წიგნს, ადამიანის კეთილ მრჩეველსა და მეგობარს, გააღვივოს მისდამი სიყვარული ნორჩი თაობის გულში, ხელი შეუწყოს სამეცნიერო და ტექნიკური ცოდნის გავრცელებას.

ამ მიზნით კლუბი მრავალ საინტერესო ღონისძიებას ატარებს, აწყობს პირად ბიბლიოთეკებში დაცული ძველი, იშვიათი გამოცემებისა და ხელნაწერების გამოფენებს, შეხვედრებს გამოჩენილ მეცნიერებთან.

ამას წინათ მოვაწყვეთ ბავშვთა საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოფენა, რომელსაც მრავალი დამთვალიერებელი ჰყავს.

გადაწყვეტილი გვაქვს გავმართოთ აგრეთვე ლიტერატურული საღამო-კონკურსი. გამარჯვებული დაჯილდოვდება წიგნებით. მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ კონკურსში — „ვინ უფრო უკეთ იცნობს იბსენის შემოქმედებას" — გამარჯვებულს საჩუქრად გადასცა მწერლის ოთხტომეული აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. ხარაძემ თავისი პირადი ბიბლიოთეკიდან.

კლუბს თავის სამუშაო გეგმაში საინტერესო ღონისძიებები აქვს გათვალისწინებული.

**ნ. ბოლქვაძე,**
აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის წიგნის მოყვარულთა კლუბის მდივანი.

კომუნისტი
საკვირაო საკითხავი





# ჩემი სოფლის შრომის დიდოსტატები

ნარკვევი

ჩემი სოფელი ძველთაგანვე დოვლათიანი, ბარაქიანი და ხალხმრავალია. იმთავითვე კაკლის ხეებით და ბაღ-ვენახებით ყოფილა კალთამდიდარი, მრავალჭირბორბალა დატრიალებულა ამ არემარეზე, მრავალი სიმწარე და სამსალა უსვამთ ჩვენს წინაპრებს, რათა ჩვენთვის შეენახათ მწვანე იალაღები, კაკლისა და წაბლის ხეები, რათა ქართული მიწიდან არ აღგვილიყო გლეხკაცის მარჩენალი და თანამოძმე ვაზი.

სოფელს ძველად „ძველი გავაზი" რქმევია, უფრო ძველად კი ბეჟანიანს ეძახდნენ თურმე. ხალხმა ძველთაძველი სახელი სოფლისა მთლად მიივიწყა, „ძველი გავაზი" რომ ერქვა, ეს კი კარგად იციან. ურჯულოებს როცა კახეთი გაუვერანებიათ და ქვა ქვაზე აღარ დაუტოვებიათ, ძველი გავაზიც წაიშალა, მაგრამ ნაგუბარში ისევ ჩადგა წყალი, ისევ აზვირთდა ჯეჯილი, ისევ გაითალა აკვნები და ნავენახარში ისევ ჩაიყარა რქაწითელი, სოფელი მკვდრეთით წამოდგა და უწინდელი „ძველი გავაზი", ახლებურად მონათლეს და „ახალსოფელი" დაარქვეს.

საქართველოში ოცდაათზე მეტ სოფელს „ახალსოფელი" ჰქვია, გული მწყდება, ასეთ უძველეს სოფელს თავისი ნამდვილი სადაურობა რომ ასე დაუდევრად დაუკარგავს. ალბათ ამ ადგილებში ბევრი გავაზი იცოდა, იმიტომაც დაერქვა ასეთ ლამაზ სოფელს ასეთი ლამაზი ფრინველის სახელი. მართალია ახალსოფლიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით არის სოფელი, რომელსაც გავაზი ჰქვია, მაგრამ ჩვენს სოფელს „ძველი გავაზი" ერქვა და ასევე იხსენიებოდა ოდითგანვე. ალბათ ეს არის მიზეზი, რომ თუ აქაურ კაცს ჰკითხეს: გინდათ თუ არა ძველი სახელი დაუბრუნდესო სოფელს, რაღა თქმა უნდა, არავინ იტყოდა უარს. განა ადვილია კარგი სახელის დაკარგვა, განა შეიძლება ისტორიის ასე თვალდათვალ დავიწყება, განა არ ემაყებათ „ახალსოფლის" მკვიდრთ, როცა იტყვიან — ჩვენს სოფელს დიდი წარსული აქვსო?

ამ სოფელს ისიც ემაყება, რომ გამოჩენილ და ხალხის საყვარელ მწერალ ლევან გოთუას ამ სოფლის ვენახის ყურძენი არაერთხელ მოუმცვრევია, აქაურ ღვინოს ღმერთების სასმელს ეძახდა. ბევრჯერ ჩამოსულა სტუმრად, აქედან ყონულის ნერგებიც კი წაუღია, ენანებოდა და მრავალჯერ უკითხავს, რატომ არ აღუდგენთ სოფელს დაკარგულ სახელსო. ჩვენი სათაყვანო გოგლა ლეონიძეც ყოფილა ამ სოფელში, ისიც წუხდა და ამბობდა, „ძველი გავაზი" სოფელს ერქვას და „ახალსოფელს" როგორ დავუძახებდიო. ამ სახელის გადარქმევაზე ზრუნავდა კიდევაც, მაგრამ აღარ დასცალდა. სიტყვა საქმედ იქცია.

ჩემი სოფლის შემოგარენი ვენახებით არის მოფენილი. შეხვალ თუ არა კახეთში, მაშინვე მიხვდები, დიდსა და პატარას, ყველას ერთი სურვილი აქვს: რაც შეიძლება მეტი ყურძნის მოსავალი მიიღონ, რაც შეიძლება მეტი მტევანი დაწურონ მარნებში. ამას ყველაზე მეტად ყვარლის რაიონში ვგრძნობ, ეს კუთხე ჩემი მშობლიური მხარეა!

ყვარლის ქინძმარაულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას ვესტუმრე. ქინძმარაულის ვენახები ზედ დურუჯის გასწვრივ კუდიგორის სამხრეთით არის გაშენებული, ძალიან მცირე ფართობი უჭირავს. წინა წლებთან შედარებით ვენახების ფართობი გაიზარდა, ახალი ვაზიც ბევრი ჩაიყარა. თუმცა ვაზების მოვლა-პატრონობას სამჯერ მეტი მუშახელი უნდა და ყურძენშიც დაბალ ფასს იძლევიან, მაინც მეურნეობის დირექტორი სანდრო სეფაშვილი ზვრების გაფართოებას ცდილობს. სანდროს ემაყება ზვრები, იცის, რომ ისინი სხვებისას არა ჰგავს, მზეთუნახავივით გამორჩენილი ვენახები აქვს. როგორც კი მანქანიდან გადმოვედით, იმ წუთში შემოგვეგება და მაშინვე ვენახებში გაგვიძღვა.

— როგორი მოსავალიაო! — ვკითხეთ და გაგველიმა. სანდროსაც გაეღიმა, ვინ მოთვლის მერამდენეჯერ ეკითხებოდნენ ერთსა და იმავეს.

— რა ვუყოთ, ასეა, ოჯახში რომ შევა კაცი, პირველად „გამარჯობა" უნდა თქვას, და ვენახში შესვლისას კი „როგორი მოსავალიაო", ის უნდა იკითხოს. ზვარში შევედით, საფერავის ზვრებში. დირექტორი ისეთი გაზადრული სახით შემოგვჩერებოდა, რომ შეკითხვა აღარ გაგვიმეორებია. 6 ათას ტონა ყურძენს უთუოდ დავამზადებთო, — თქვა მან. ეს ოთხი წლის გეგმის შესრულებას ნიშნავს! ვენახში შევედით. მეზვრე ჩვენსკენ წამოვიდა.

— გამარჯობათ ქალაქელებო! — მის ხმაში ირონია იგრძნობოდა.

— მე აქაური ვარ, — ვთქვი და მანქანის ჩრდილს შევეფარე, მზე მაგრად იკბინებოდა, ძნელი იყო ამდენ ხანს პაპანაქებაში დგომა. ისევ თვითონ გამოგველაპარაკა. — ქინძმარაულს სხვა სურნელი და მადლი დაჰკრავსო. ასეთი ღვინო დედამიწის ზურგზე მეორე არ მოიძებნებაო, ჩვენი მამა-პაპანი ამ ღვინოს წამლად ხმარობდნენ, შავ ღვინოში პურს აწობდნენ და ბოლოლოწოს ჰამდნენო. ბოლო-წო ჯანსა და ღონეს მატებდა კაცს, გონიერებას უმატებდა. მოდი და ნუ მოუვლი, ნუ მოესიყვარულები ასეთ ვაზებს.

— შენ ისიც თქვი, შარშან რამდენი მანეთის პრემია მიიღე! — შეეპასუხა მეურნეობის დირექტორი.

— ადრე გეგმას ვერ ვასრულებდით, პრემია რა იყო, არც ვიცოდით. ამ ოთხიოდე წლის წინ ვენახებს კარგად ვერ მუვლიდით და შემოსავალიც ნაკლები იყო. ახლაც ისევ იგივე ფართობი გვაქვს და იგივე ვენახებს ვუვლით, მაგრამ შემოსავალი სამჯერ მეტად გაიზარდა. რამდენი მანეთის პრემია მიიღე? — ისევ დაეკითხა სანდრო.

— წლის ბოლოს ათას ხუთას სამოცდა ჩვიდმეტი მანეთი პრემია მივიღე! ეს იმიტომ, რომ ქინძმარაულის ვენახებს არც ჭრაქი გასჩენია და არც ნაცარი. არც დროზე გათოხნა დაგვიკლია და არც გასხვლა-გაფურჩვნა და წამლობაც დროული ჰქონდა.

— მევენახეობის მეთერთმეტე ბრიგადა ყველაზე კარგი ბრიგადაა, — გვეუბნება სანდრო, — ამათ ბრიგადას ვერავინ სჯობნის.

— ღმერთმა ქნას, ყველამ გვაჯობოს, რომ ბევრი მოსავალი მოსულიყოს, — სიტყვას გვაწევს მეზვრე და ისევ ვენახში შერგავს თავს.

ქინძმარაულის ვენახებს წელსაც ჩავყრით, გვინდა გავადიდოთ მოსავალი, ახლა ყვარლის რაიონის ქინძმარაულის საბჭოთა მეურნეობა ექვსი ათას ტონა ყურძენს მოელის, აქედან ათასი ტონა სუფთა ქინძმარაული იქნება.

მერე ჭიკაანის ღვინის ქარხანა ვნახე. ეს ქარხანა შარშანწინ აშენდა, მაგრამ ეზო ისეა მოკოპწიავებული, ჰგავს ბაღს. ქარხნის დირექტორი ალეკო ღონიაშვილი ახალგაზრდა კაცია, შეხედავ და გაგიხარდება. ირგვლივ ცაცხვის ხეები და თვალმახარა ყვავილნარი გაუშენებიათ.

— ეს ცაცხვის ხეები, ვიდრე ქარხანას ავაშენებდით, მანამდე დავრგეთ, — იღიმება დირექტორი, — ცაცხვის ხეები ხომ ძალიან ნელა იზრდება, მაგრამ მაინც ცაცხვის დარგვა ვარჩიეთ. ძალიან მიყვარს ეს ხე.

— მეც ძალიან მიყვარს ცაცხვი, — შევაგებე სიტყვა ალეკოს, — მიხარია, რომ ასე აკეთებთ. საშვილიშვილო საქმეზეც უნდა ვიფიქროთ და დღევანდელ დღეზეც, დღევანდელი დღე კი ასეთია: ქარხანა მილიონ დეკალიტრამდე ღვინოს იტევს, ახლა თერთმეტი ათას ტონა ყურძენს გადავამუშავებთ. წელს მოსავალი დიდი იქნება, ვენახებს კარგად ასხია. ამ ქარხანაში ვერც კი დავტევთ, ოღონდ ეგ არის, გვალვამ, სეტყვამ და ქარმა ძალიან შეგვიწუხეს ვაზი.

— სადაც მივედით, ყველგან გვალვას უჩივიან, — ჩავილაპარაკე დანანებით.

— მთელი ზაფხული ღრუბელი არ დამინახავს ცაზე, მეც მეზვრესავით ველი ცის ნამს. მარტო ფოთლის გაგრილება საქმეს ვერ შველის, წყალი ვაზის ფესვს უნდა გაუჯდეს, ისე ვენახი ძალიან შეწუხდება, ჩივიან ქარხანაში შემოსწრებული მუშებიც, — ამბობს ალეკო.

ღვინის ქარხნიდან გამოვედით და გეზი გრემის ზვრებისაკენ ავიღეთ. რაიონის მესვეურებს ემაყებათ გრემის ბარაქიანი და სათვალიო ვენახები, შარშანაც ვიყავი ამ ზვრებში, მაშინაც თვალისგასახარად იდგნენ დახუნძლული ვაზები და მარგალიტის თვალს მზეში აცეცებდნენ. ვაზის ბარაქით არის დატბორილ-დამძებული ალაზნის ველი და კავკასიონის მაღლიანი კალთებიც. ჩვენს მიწა-წყალზე ვაზი და კაცი ხელიხელგადახვეულები ერთად [illegible] არიან, ჭირშიც და ლხინშიც, ერთად უმკლავდებიან გვალვასა და სეტყვას, ერთად უხვდებიან [illegible] მოყვარეს. შილდელებს ზვრებისათვის [illegible] შინმოუსვლელი ბიჭების სახელები დაურქმევიათ. აკი ამიტომაც დაჰფოფინებენ თავზე მათივე ტოლები თაკარა მზის გულზე მიფიცხებულ მტევნებს. ვინ იცის, რამდენი შინმოუსვლელი გადაძევდა უბედოდ. დაე, ეს ზვრები იყოს მათი სახელის მოსაგონრად. ბარაქალა, შილდელებო, ბარაქალა, შინმოუსვლელის ზვრებს! დაე, შვილთაშვილებზე გადასულიყოს [illegible] სიკეთე და თავდადება!

ცალკე, გამორჩევით არც ერთი მევენახის გვარსა და სახელს არ ვახსენებ. რა თქმა უნდა, ზოგი უფრო გამრჯეა, ზოგი უფრო მეტად ყოჩაღი და ამტანიც, მაგრამ მე ვხედავდი, რომ ეს ზვრები ყველასათვის, ყველა მამულიშვილისათვის ერთიანად სათაყვანო და ხელით საგოგმანები იყო, ყველა თავდაუზოგავად ებრძოდა გვალვასა და სხვა გასაჭირს. შილდელებიც გვალვას უჩიოდნენ, ვაზი სიცხეს ძალიან შეეწუხებინა, ფოთლები ალაგ-ალაგ მისჭკნობოდა, მაინც შარშანდელზე მეტ მოსავალს იღებენ.

გაისად ალაზნის არხი მოგვეშველება, მდინარე სტორი სულს მოგვათქმევინებს, მაშინ ცისკენ აღარ დავიწყებთ ვიდრებით ყურებას, — ამბობდა ბერიკაცი.

— წლეულს როგორც იქნა, გადავრჩით გვალვას. საოცარია, ასე რამ გამოაშრო ეს ცა, რომ ერთი წვეთი ნამი არ გავარდნია მთელ ზაფხულს. მაინც თავგადადებული შრომით ხალხი, ელოლიავებოდა ვაზს, თავის მარჩენალსა და სალოცავ ხატს.

ყვარელში ვბრუნდებით, დურუჯს მივუახლოვდით. დურუჯი მთლად დაწრეტილა, წვეთი წყალი არ მოდის ხევში. მთაში რა ხანია წვიმა არ მოსულა, და წყალი საიდან იქნება?! შარშან დურუჯი ყვარლის ქინძმარაულის ვენახებში შევარდნილა და დაუტბორია. დურუჯის ნაპირების გამაგრებაში დიდ ილიასაც მიუღია მონაწილეობა, ილიასეული ჯებირები ახლაც შემორჩენილა დურუჯის ნაპირზე. ილიას წამოწყებული საქმე უკვე დასასრულს უახლოვდება, დურუჯი უკვე თავის კალაპოტში მოექცა, ორი-სამი კილომეტრიღა დარჩა ალაზნამდე და დურუჯის გადმოვარდნის საშიშროება სამუდამოდ ალიკვეთება. ვის არ ემაყება დიდი ილიას სახელი, ილიას სახლ-მუზეუმს ყვარელში ჩასული კაცი გულგრილად ვერ ჩაუვლის. მალე ჭავჭა-

(დასასრული მე-4 გვ.)





ვაჟის ტრფიალი.



ა. სააკოვის ფოტო.

ჩვენ და საზოგადოება

# კაცობის ღერძი ანუ უღელი

## ისევ ეროვნული ყოყლოჩინობის, ნიჰილიზმისა და ნამდვილი ეროვნული სიამაყის გრძნობის შესახებ

ვინ არ იცის, რომ დღეს საქართველო პირს მზის ჩანჩქერში იბანს და სიტყვაც მზიანი ეკუთვნის, ვინ არ იცნობს მის საქმესა და სახელს. დიახ, საამაყო იმდენი გვაქვს, რომ ჩამოთვლას ვერ აუვალთ, მაგრამ თვალზე ხელის აფარებაც არ მოგვიხდება და ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის აუგი ისევ ჩვენსავე გულსა და ქართულ სიტყვას უნდა ვათქმევინოთ...

ვის არ მოხიბლავს მცხეთის მშვენება, მაღალი მთის ცერზე მიმინოსავით შემომჯდარი ჯვარი, შენი „მრავალჟამიერიც" მზის ქორწილში იმღერება, მერე ბაგრატი თქვი, თმოგვი... სიტყვაშეუბრუნებელი ჭეშმარიტებაა, რომ ჩვენი წარსული თითით არის წასაკითხი და უფრო დიდი მომავალიც აკვანში გვიწევს. და მით უფრო გულზე სალტეს ის გვიჭერს, რომ ხშირად კომბალივით ტრიალებს ხოლმე ფუყი ამპარტავნობა, — ქართველი სადაც წავა, შამქორი და ბასიანიც იქ მიაქვს, წარბზე მიმინო უზის, როგორ გაუშვებს შესაძლებლობას სიტყვას არ ათქმევინოს, რომ ჩვენ, ქართველები, არწივების ბუდეებში ვართ დაჩეკილი, სხვაგან წასული მზე ჩვენი ცისკენ მორბის, ჩვენი მთები ოქრო-ვერცხლით არის სავსე, ჩვენი სიმღერა მკვდარს გააღვიძებს და უკვდავების წყაროსაც მარტო ჩვენში უდგას სველი კოკა...

ასეთი ყოყლოჩინობა, ბზე და საბძელი, საკვირველი არ არის მისგან, ვინც ერისას ხარჯავს, რადგან თვითონ არაფერი აბადია, ვინც წინაპრებს დიდებას ესესხება, რადგან თვითონ თვალი ფართოდ არ გაეხელინება.

აი ვინ უფრო „ქართველობს", აი ვინ უფრო ხარჯავს უხორცო სიტყვას სამშობლოს, ერის „სადღეგრძელოდ". და, რაც მთავარია, ასეთი უცხოს ვერ გააგებინებს, რატომ შესცქეროდა ნახევარი საქრისტიანო პეტრიწის შუბლს, რატომ კოცნის ალაზნის ველზე აგრეხილი ვაზი ქართველი გლეხის დაღლილ ხელებს, რატომ მოიარა ქართულმა სიტყვამ მსოფლიოს კუთხე-კუნჭული, რატომ უკრავდა მზე ტაშს ცერიგზე შემდგარ ქართულ ცეკვას.

დიახ, ვერ ეტყვის, რადგან გონების წიგნი ერთხელაც არ გადაუშლია და ვიწრო შუბლზე წარბი ვერ ეტევა.

შარშანდელ ზაფხულს საქმემ მოსკოვში ჩამიყვანა. ერთ-ერთ სასტუმროში გავჩერდი. იმ უზარმაზარ შენობაში რუსულზე მეტი ქართული მესმოდა და თავი შინ მეგონა. ჩემი ყურადღება მეორე დღეს ერთმა ახალგაზრდამ მიიპყრო — იმის შემხედავს სილამაზე აღარ მოგენატრებოდა, მაგრამ რად გინდა, როცა სახეზე მეკობრის სითამამე ეწერა, რუსულს ხმამაღლა ამტვრევდა, გვერდით ქალს რომ ჩაევლო, უთქმელად არ გაუშვებდა, საკუთარ თავს მაჭანკლად ედგა. შემთხვევამ გამაცნო — გოგი ბეგაძე გამოდგა, ისეთი ცოლ-შვილის პატრონი, დევს რომ ეპოვა, ყველას ზღაპარში წაასხამდა. საღამოს ვახშამი რესტორანში შევუკვეთე. მოშორებით გრძელ მაგიდას ბეგაძე და ვიღაც მსუქანი კაცი უსხდნენ, გვერდით „გოგოები" მოესხათ...

ცოტა ხნის შემდეგ ბეგაძემ ჯერ მაგიდასთან იქნია ხელები და თვალები აბრიალა, მერე საქართველოს გრძელი სადღეგრძელო იმ გოგოებთან ვახტანგურად შესვა, და ღვინო პერანგზე ჩამოიღვარა. ცოტა ხნის შემდეგ უკაცურობამ ფეხი აიდგა, ესტრადაზე აბობღდა, მუსიკოსები მისწი-მოსწია და სიმღერას მოჰყვა. კიდევ კარგი, საქართველოს ის სიმღერა არ მოუსმენია!

მერე... სავსე დარბაზმა მიკროფონიდან ყრანტს ვეღარ გაუძლო, ნახევარი იქ დარჩა, ნახევარი გარეთ გავიდა მილიციის მოსაყვანად. მეც სირცხვილმა მუხლზე შემისვა და გარეთ პანღურით გამომაგდო. რატომ არაფერი ვუთხარი? იმიტომ, რომ ჯერ ცეცხლი ქარით არავის ჩაუქრია და არც ის გაშლილი მაგიდები მინდოდა აყირავებული მენახა.

ეროვნული სიამაყე ასეთი ადამიანებისათვის სხვა რიგის ცნებაა, რომელსაც მხოლოდ ერთი განზომილება აქვს: თუ ქართველი ხარ, ხელი სავსე ჯიბეში უნდა გედოს, გრძელ სუფრას შლიდე, თან კევივით ღეჭავდე გაცვეთილ ლეგენდას, რომ შენი ქვეყანა ღმერთმა თავის კალთას მოხია, აქეთ ცივი მთები დაგიდგა, იქით ალაზანი აუშვა, ლიხს იქით იმერეთი პატარძლად დასვა, ლიხს აქეთ ქართლის ხალიჩა გაშალა. და ამიტომ უფლება აქვს ალვირი და აპეური წაიყაროს, თვალებით ყველაფერს ცეცხლი წაუკიდოს, განი მიეცით, ფართო ნაბიჯით გაატარეთ...

ამ რამდენიმე წლის წინათ, სანამ ქართველები სინდისის ალდგომას გავითენებდით, ხშირად შეხვდებოდით „დიდი ქართველის" სადღეგრძელოს. საძოვარივით გაშლილ სუფრას ამაყად უსხდნენ „საქმის ხალხი", ერის სკასთან აბზუილებული კრაზანები, ვისთვისაც ქართველობა ჯიბის სიგრძით და უქმარო ღიპით იზომებოდა, ვინც ეროვნულ თავმოყვარეობას პანღური ამოჰკრა, ვისაც შრომა სხვისი ეგონა, თვითონ კი მხოლოდ ფცქვნიდა და ითლიდა...

ეროვნული თავმოყვარეობა დღესაც ზოგს ზურგზე გუდასტვირივით ჰკიდია, სადაც უნდა ჩაჰბერავს და მკერდს ომახით აივსებს. მე იმას არ ვამბობ, რომ რადგან ძველი კულტურის ერი გვქვია, ამის შესახებ ხმა არ ამოვიღოთ, სიტყვაც ცხრაკლიტულში გამოვკეტოთ და კატის ნაბიჯით დავდიოდეთ. არა, მკითხველო, ეს მცდარი გუმანია, თქმა და აღნიშვნა საჭიროა, მაგრამ სიტყვა უმძრახად არ უნდა იყოს საქმესთან.

ერის ისეთი სიყვარული, რომელიც სხვის პატივისცემას ვერ დაიმყნობს, სხვის კალოზე ძნასავით არ გაიშლება, ფუტურო ხეა, ყინულზე გამომცხვარი პური და სანაგვის ყვავილი.

ულმობელია ისტორიის განაჩენი. საუკუნეთა მრისხანებამ, დროის მართალმა ხელმა ბევრჯერ გამომარგლა კაცობრიობა, ბევრი მწარე გაკვეთილი ჩაუტარა იმ ხალხს, ვინც საკუთარ თავს ნარცისის თვალებით უყურებდა, ვისაც სხვის სალოცავთან ქუდმოხდილს არ ჩაუვლია, ვისაც მარტო თავისი ჰყვარებია, სხვისი კი არც წიგნი წაუკითხავს, არც ამის სურვილი გასჩენია. სხვისი თბილი ბუდე თუ გიხარია, მაშინ შენ საბუდარსაც კრუხი არ გაექცევა, შენს სალამურს ბულბული არ გაუფრინდება. იქნებ ამაშიც არის ჩვენი ერის უკვდავების საიდუმლო?

ეროვნული სიამაყე სხვისი უარყოფით კი არა, საქმით იჭედება. თუ სამშობლომ გითხრა, მთა უნდა დააჩოქო, წყალს ცეცხლი და სინათლე მოსტაცო, ყველა პრომეთე უნდა აუშვა... მაგრამ ზოგი სიტყვასოლომონობს, სინამდვილეში კი რბილი ფოლადი და სველი ცეცხლია. კახეთს გახედე — თითოეულ ვაზს ჭიგოდ ქართველი გლეხის მადლიანი, დაღლილი მკლავი უდგას, თვალის მერცხალი გააფრინე შოთას სტრიქონივით მზჩაღვრილ ჩაის პლანტაციის მწკრივებში, ქარხანაში შეიხედე და ნახე როგორ ხედნის რკინას ხალიბების შორეული შთამომავალი, ტელესკოპის თვალით ცა და ვარსკვლავი წაიკითხე, თვალიდან გადმოსვი გელათი, ნიკორწმინდა, ინგურჰესი, ცას ხელებით ჩამოკიდებული სართულები და ჩემთან ერთად თქვი, რომ ეს არის ნამდვილი ეროვნული სიამაყე. დიახ, მკითხველო, ეროვნული სიამაყე და ეროვნული ყოყლოჩინობა ერთმანეთს ხელს ვერ [illegible] ცეცხლსა და წყალივით ვერ მორიგდებიან.

არც ეროვნული ყოყლოჩინობიდან ნიჰილიზმამდეა გასასვლელი მაღრიბის გზა და, თუ კრიტიკისა და მხილების თვალი მოსცილდა, ეს წყალი გველეშაპს შობს, რადგან ეროვნული ყოყლოჩინობა თვალებში შეყრილი ნაცარია, ვერც სხვისას დაგანახვებს, ვერც შენს ღობეში ჩააგდებს სარსა და წნელს. თუ ბოლომდე ვერ გაიგებ რას ჩურჩულებს ჯვარი, რას მღერის ქართული მინანქარი, რა ჩაგიწერა ისტორიამ ერის წიგნში, ვისი საქმე და ანდერძი უნდა გახსოვდეს, ეს უკვე სიღატაკეა, იმის დაკარგვაა, რითაც ადამიანი სამშობლოს ძუძუს ჰკიდია, რითაც მისი აზრი უნდა ბრუნავდეს და გული ფეთქავდეს. ასეთი ადამიანი ერის ცომით არ არის მოზელილი, ცივ თონეშია გამომცხვარი, ზარივით ირეკება, მაგრამ არავის უხმობს, თითქოს იწვის, მაგრამ არც ანთებს და არც არავის ათბობს. არ ეკადრება ეს არც ჩვენს წარსულს, არც აწმყოს, არც მომავალს...

უჭირს ქართულ სოფელს, შედგმული კოკა ესიზმრებათ მთის ცივი ცრემლით სავსე წყაროებს, ბევრმა ქალაქში წამოიღო ბავშვობა და მეწისქვილის ზღაპარი. აქ ეძებს დაკარგულ ნატვრის თვალს. ეს ქანდარის არწივები საბუდრის კრუხებივით შეეჩვივნენ ქალაქის საკვნებს, ნეტავ ვის ჩააბარეს სოფლად მამაპაპის საფლავი, შუკა და ორღობე, ნაშენი და ნაფუძარი? როგორ გაცვალეს ტყის სილბო-სიგრილე ქალაქის ჩრდილზე ქალაქის ამ ხიზნებმა? მაგრამ ამ კითხვებს პასუხიც უკან კუდივით მისდევს და მათ მაგივრად მე მოგახსენებთ — ზოგი ჩვენი თანამედროვე სათითეში ჩაჯდა, და-

(დასასრული მე-4 გვ.)

# ჩემი სოფლის შრომის დიდოსტატები

(დასასრული)

ვაქიანთ კარის ეკლესიას აღადგენენ, ილიას დედმამისეულ მარანს და ეზოს პირვანდელ სახეს დაუბრუნებენ. უწინარეს ყოვლისა კოშკის მშენებლობას დაიწყებენ, იმ კოშკის აღდგენას, სადაც დიდი ილია დაიბადა. აღსდგება წისქვილიც თავისი რუსხმულით. უკვე მზად არის მაკეტი და მუზეუმი დღე-დღეზე მოელის განახლებას. ილიას საექსპოზიციო შენობის წინ ყვავილნარი გაშენდება და დიდი შადრევანი აიგება.

იმ საღამოს ძალიან ბედნიერი ვიყავი. ვის არ გაახარებს თავისიანების სიკეთე, ვინ არ იამაყებს თავისი რაიონის მიღწევებით! მეც მიხაროდა ყველაფერი, რასაც ამ ცოტა ხანში დაუცხრომელი შრომით მიაღწიეს ჩემმა თანამემამულეებმა. მეორე დღეს ისევ მცხუნვარე მზე ვარვარებდა ცაზე, საღამოხანს კი ღრუბელი აირია, შვება ვიგრძენი, გამოვცოცხლდი, მივხვდი, ახლა კი ნამდვილად ელირსებოდა დაგვალულ მიწას ცის ნამი. წარამარა გავცქეროდი ცას, ცოტა ხანი გამოხდა და ჭექა-ქუხილმა გააყრუა იქაურობა, კავკასიონის მთებზე შავი ღრუბელი ჩამოწვა, ჩემიანებს არ ეჭაშნიკათ ჩამოშავებულ ცაზე ელვის შოლტების ტკაცუნი. გუნებაწამხდარნი გაჰყურებდნენ ხან ალაზნის ველს, ხან კავკასიონს. რისი შიშიც ჰქონდათ შილდელებს და ყვარლელებს, მაინც არ ასცდათ, რაც გვალვამ დააკლო, სეტყვამ გადაუთავათ. სეტყვამ ქინძმარაულის მევენახეობის მეურნეობის ვენახები მთლად გაანიორწყლა, არც შილდა-ჭიკაანს დააყარა ხეირი. პირქვე დასცა სართვლოდ გამზადებული მთელი წლის ნალოლიავები სარჩო-საბადებელი. უფრო გულისმომკვლელი სანახაობა ძნელია ნახოს კაცმა, ვიდრე დასეტყვილი ვენახი. იდგნენ გაწბილებული ვაზები, თითქოს სახრით დაუზიგვიათო, მთლად შემოფლეთილი ფოთლებით, ჩიტების ჭიკჭიკიც აღარ ისმოდა, ხეებქვეშ ფრინველი იყო დაფენილი.

— გუშინ მოვიდნენ სეტყვის წინააღდეგ მებრძოლი რაზმიდან, ათასნაირად იმართლებდნენ თავს. ყურსაც არავინ უგდებდა — მაგათ რაც უნდათ ისა თქვან, წელს სამჯერ დასეტყვა შილდა, ერთხელ თუ შეცდნენ, მეორედ და მესამედ რაღად მოსდით შეცდომა, ბიჭო!

— მაგათ ჯიბრზე მიწაზე დაფენილ მარცვალს ერთიანად ავკრეფთ და მაინც შევასრულებთ გეგმას, — ბობოქრობს ჭარმაგი მევენახე.

ვენახებში ჭიანჭველებივით ირეოდნენ მკრეფავები. დასეტყვილი ვენახი ორ სამ დღეში უნდა დაიკრიფოს, თორემ მტევანი გაშავდება და დალპება. მთელი რაიონი იყო გამოსული ყურძნის საკრეფად, პირმოღუშულები, დადარდიანებულები დადიოდნენ ზვრებში. თითქოს ერთმანეთს ემდურიანო, პირუჩუმრად კრეფდნენ სეტყვით გაცქლეტილ მტევნებს.

ჩემი სოფელი სეტყვას გადაურჩა, მაგრამ მათ მაინც გულზე აწვათ სეტყვის სიმძიმე. დილაუთენია ჩემიანებიც დედაბუდიანად გაიკრიფნენ ყვარელში, მისაშველებლად. ყვარლიდან მობრუნებული მეზობლები ნასეტყვი ვენახის ნახვით განაწყენებულები, ერთმანეთს ამხნევებდნენ: ჩვენს ვენახებს ისე ასხია, ყვარლის დანაკარგს ჩვენი ზვრები გადაათავებენ, მაგრამ რა დროს დასეტყვა მაინც, ზედ კარზე იყო რთველი მომდგარი.

მაინც მოხუცს თუ ახალგაზრდას ყველას იმედი ჰქონდა, გეგმას შეასრულებდნენ. ჩემი თანამემამულეები შეჩვეულები არიან „ჭირსა შიგან გამაგრებას". მთელი ზაფხული გვალვას ებრძოდნენ, სოფელს არც სარწყავი წყალი ჰყოფნიდა და არც სასმელი, მაინც შრომობდნენ, ირჯებოდნენ და კვლავაც გაირჯებიან, რადგან იციან, თუ ხელი არ გაანძრიეს, საქმე თავისით არ გაკეთდება. ჩემი სოფლელების დანაბარები მინდა ყველას შევჩივლო: ვიდრე ალაზნის არხი ჩემს სოფლამდე მოაღწევს, ისე მოხდება, „სანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გაძრესო".

ჩვენი ხალხი დღედაღამ მიწას ერკინება, ვენახს თავზე დაჰფოფინებენ, ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვის უფრო კარგი ვენახები ექნება, მაგრამ უწყლობა ძალიან დიდ ზარალს აძლევს ზვრებს. ხალხი აგვისტოში მთელი კვირაობით იდგა ვენახის მორწყვის რიგში. ამ ზაფხულს რამოდენიმეს მოურწყაობით ვაზი გაუხმა. მომავლისათვის დიდი გეგმებია გათვალისწინებული, ამიტომ სოფელს წყალი უნდა მივაშველოთ, ვიდრე დიდი გეგმები ფრთას შეისხამს, თუნდაც იმ ძველი წყალსაცავის გვერდით მეორე წყალსაცავი რომ მივაშენოთ, სოფელი ამოისუნთქავს, ყურძნის დოვლათიც იმატებს და გლეხკაცის მადლიერებაც. ვწუხვარ, რომ სოფელს ვერაფრით ვშველი. სადაც კი ვთქვი, ჩემი სოფელი უწყლოდ წყალწაღებული სოფელია-მეთქი, ყველგან მახარეს, ცოტა ხანში მდინარე ლოპოტო ალაზნის არხში გამოვა და სიღნაღამდე მთელი ალაზნის ველი წყალში იტივტივებსო, მაგრამ მანამდე რამდენიმე წელი მაინც გავა, ვენახებს კი წყალი სჭირდება, სიტყვებით ზვრებს ვერ დავამშვიდებთ.

ყვარელში რთველია. მანქანა მანქანაზე მოდის ღვინის ქარხანაში. ხალხი გაფაციცებით შესევია ვენახებს, ამინდიც დადგა, ცა მოკაშკაშებულია და ნამცეცა ღრუბელიც აღარ ცოცავს. უთენია გარბიან ალაზნის ველისკენ ჩემი თანასოფლელები. მარცვალი რა არი, მარცვალსაც არ დაკარგავენ. დაე, სულ სიხარულის ყიჟინა დადიოდეს ზვრებში, დაე, სიცოცხლისა და სიმღერის ხმებმა გააბრუოს ქართული ვენახები. ბარაქალა, ჩემო თანასოფლელებო, ამაგდარო ხალხო და შრომის დიდოსტატებო.

**მედეა კახიძე.**
(„კომუნისტის" სპეც. კორ.

# კაცობის ღერძი ანუ უღელი

(დასასრული)

ივალა და დაილია, ეროვნული საზრუნავი სხვისი ტვირთი ჰგონია, თვითონ კი უძლომელი სჭირს, წყალსაც გაფცქვნის და ოჯახში შეიტანს. თუ მამული მართლა შენი კაცობის ღერძი და უღელია, ამისთანა უჩრდილო ხე ვერ იქნები. მაგრამ უფრო მეტი თავშისაცემი ის არის, რომ სწორედ ასეთ ადამიანებს ემარჯვებათ ბერწი სიტყვა, რადგან არც თავისი იციან კარგად, არც სხვისი წაკითხვა შეუძლიათ.

ვისაც ერის სახელის სამჭედლოში დილა მიიყვანს და ღამე წაიყვანს, მარტო იმან იცის, რომ შენი სიცოცხლე მამულს უნდა ასვა, იმან იცის ის, რაც ზოგისთვის დღესაც სასწავლო გაკვეთილია. ყოყლოჩინობას მხოლოდ ის ერი იკადრებს, ვისაც სამომავლო ფიქრი ცხელ შუბლზე არ გამოუცხვია, ვის გუთანსაც სახნისი გაცვეთია, ვის კალამსაც ბედაური სიტყვა ზღაპარივით გაქცევია.

ყოყლოჩინობა ეროვნული სიამაყის არც ნათესავია, არც ახლო მეზობელი — თუმცა სიამაყესაც სწორი გაგება უნდა, — შენმა საქმემ, შენმა პიროვნებამ, შენმა ქცევამ უნდა უთხრას სხვას ვინა ხარ, რა წყლით აყვავებული, რა აკვანში გაზრდილი. მაშინ მისწვდები ხელით ცასა და ვარსკვლავს, მხოლოდ მაშინ სიტყვა პირზე ხელს აიფარებს, მაგრამ უცხო შენ წაგიკითხავს და შენი ერისას თვითონ გაიგებს.

მშობლიური კულტურით აღტაცება ყველა ჩვენგანის კანონიერი უფლებაა. როგორ შეიძლება ცივი თვალით შეხედო იმას, რაც შენს წინაპარს პირველ კელაპტრად აუნთია, ისტორიის გრძელ გზაზე პირთამდე სავსე თასივით ფრთხილად უტარებია და შენთვის ჩაუბარებია. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენც ჩვენი მძიმე კევრი უნდა ვათრიოთ ერის გაშლილ კალოზე და არც ის დავივიწყოთ, რომ ქართველი კაცი მუდამ მსოფლიო კულტურის გადასახედთან იდგა და თავისას შინ მოჭრილი არშინით არა ზომავდა. აი რისთვის დუღდა ქართული სული ათონსა თუ პალესტინაში, სინის ცხელ უდაბნოში, აი, რატომ ჩაღვარეს თვალი ეტრატებში ცურტაველმა, რუსთაველმა, სულხან-საბამ და ბევრმა სხვამ, ვისი სახელიც დღეს გულის ფიცარზე გვაწერია.

ბრძენი და გულთმისანი არ სჭირდებოდა მათი ფიქრის ახსნას: თუ ქართველი გელათზე ჩუქურთმას წნავდა, ბერძენი აია-სოფიის ქვის ზღაპარს ქმნიდა, თუ თვითონ ხარაჩოზე იდგა, არც სხვა იჯდა ხალიჩაზე. სიცოცხლის ვალს პირნათლად იხდიდა და ასე იქმნებოდა მსოფლიო კულტურა. რაოდენ საამაყოა, რომ დღეს ეს კულტურა ფურცლებამოხეული წიგნი იქნებოდა ქართული სულიერი საგანძურის გარეშე, ქართველის წვლილის გათვალისწინების გარეშე. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს მაინც წვლილია და სადაც შევარდენმა უნდა დაუსტვინოს, იქ არწივის ყივილი არ გვეკადრება.

მარტო შენი ხალხის სიყვარულს ღარად კი არ უნდა გაეთალო, საკაცობრიო კულტურის დიდ მდინარეში ქართულად ამღერებული ტალღა უნდა იცნო.

მაგრამ ესეც მუდამ უნდა გახსოვდეს — ნიჰილიზმი გველის ჭრელი პერანგია. ეს ურჩხული ბოლომდე უნდა გადაშენდეს. ეს არის პროგრესული კაცობრიობის ხვალის მიზანი, და მით უმეტეს არა გვაქვს უფლება ჩვენისა და საკუთარის ბრმა სიყვარულმა, ყოყოჩობამ ამ უსახურის თუნდაც ბეწვის ღერად და ნამწამად გვაქციოს... ვისაც ეს ჯერ კიდევ ვერ გაუგია, არ უნდა მოვერიდოთ, წინ თამამად დავუდგეთ, ერის საგანძურთსაცავში სავალი გზა და ბილიკი ვასწავლოთ.

აბა წლებს გადახედეთ: რამდენი იდგა მოსკოვის, ლენინგრადის, ომსკისა თუ ხაბაროვსკის ბაზრებში, რამდენი ადის დღესაც ნემსის წვერზე და ქვაში ძვრება, რომ მათი გზა არ დაკარგოს. აი, ვინ ჰყავდა საქართველოს არამკითხე „კულტურტრეგერებად", იდგნენ წვერმოშვებულები, უდაბური კუნძულის აბორიგენებივით ანთებული თვალებით, ყინვისაგან ნაცემი და გალურჯებული და ეროვნულ სიამაყეს თუ საფლავს უჭრიდნენ, ყოყლოჩინობა გვერდით ედგათ, ქართველობდნენ, თავისი უხვი, ბარაქიანი ქვეყნით ამაყობდნენ.

მახსენდება რუსეთის ერთ-ერთი ქალაქი: სადაც კი გრძელი რიგი იდგა, ჩემი თანამემამულეებიც იქ ისრისებოდნენ; ფუთებს, ჩანთებს, ჩემოდნებს დაათრევდნენ ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში. საღამოს ერთ ჩემს ნაცნობთან ვიყავი მისასვლელი, ის მანდილოსანი საქართველოს აღმერთებდა და უყვავილოდ იქ წასვლას არმისვლა სჯობდა, ამიტომ ბაზარში შევიარე. თვალმა ამღერებული მიხაკებისკენ შემაბრუნა. ჩემთან ერთად ყვავილები სხვამაც იყიდა. ის ბიჭიც ჩვენი გამოდგა, ვახტანგ ბედუკაძე ვარო, ხმამაღლა მითხრა. სხვათაშორის, „ყვავილების იმ ტრფიალთან" შემთხვევამ მერე კიდევ შემახვედრა, თბილისში რომ მომეჩქარებოდა. აეროპორტში ვიდექი და წამოსვლას ვნატრობდი. ბედუკაძე დავინახე, თვალი ამარიდა, და გვერდზე შეტრიალდა, მაგრამ მალე ჩემ წინ ისეთი აყალ-მაყალი ატყდა... ყური ქართული გინებით ამევსო.

ის ბედუკაძე ერთ დროულ კაცს აფხორილი მამალივით ედგა, სათვალის წინ ჭუჭყიან მუშტს უტრიალებდა, საფლავის გაჭრას იქვე ჰპირდებოდა და ეს თუ არა ქნა, ალბათ იმიტომ, რომ აღარ დავაცადეთ. თბილისამდე ყურებში მიწიოდა ერთ-ერთი იქაურის ხმამაღლა ნათქვამი, ალბათ განგებ, რომ ცნობისმოყვარეს გაეგო: „მე ვიცნობ საქართველოს, ქართველ ხალხს, მათთან ერთად მიბრძოლია, მიცხოვრია. ეს რაინდი, კეთილშობილი ხალხია, დიდი ოჯახის მახინჯ კი ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ამხანაგებო"...

იმ ხალხს დღესაც რომ ჰკითხო, ცუდს რას აკეთებდნენ, გარეთ ნაშოვნი შინ მოჰქონდათ. ასეა, როცა სინდისი ურწყავზეა ნათესი, როცა ცარიელ ტივს ჩხვლეტა და სადგისი არ აშინებს.

ნუ გგონია, მკითხველო, რომ ასე იოლად შეიგნონ ადრე შესაგნები. მეც კარგად ვიცი, მათი კრიტიკით ოწყილს ვკაზმავ, მაგრამ იქნება წკეპლის ბოლო მაინც ვუწვდინო და იმას ვათქმევინო, რომ ქართველს მათ სიტყვას მათი სიმუნჯე ურჩევნია, როდის გაილეოდა ქართველში ასეთმა სიხარბემ, რომელი გზით მოვიდა. გეტყვი, მკითხველო, დავალულმა სინდისმა მოიყვანა, სავსე ცურთან ჯდომა უყვართ და კარგსა და მსუყეს ისე შეეჩვივნენ, როგორც ღვინო გოზაურს. ამ ადამიანებს რომ მუხლი შერჩენოდათ, წინ რომ არ გვეყელა და კლდისკენ არ მიგვერეკა, ხვალ საქართველოს მზეს მოპარავდნენ და საკუთარ ბინაში ჭაღად ჩამოკიდებდნენ.

იქნებ ვაჭარბებ, იქნებ სიტყვის სადავე ხელიდან გამივარდა, კალამს გესლში ვაწებ? — არა მგონია, ბევრი მაგალითით არ დაგღლი, შენთან ერთად ვუჯექი ტელევიზორს, შენთან ერთად ვუყურებდი ფულით სავსე ზანდუკებს, რომელთა პატრონი ქალი იყო, სიხარბისაგან ჩაქოლილი, სამშეიდან წასული, გამქრალი.

მეორე დღეს თავი ვერ მომებრუნებინა, ქართველი დედისთვის ვეღარ შემეხედა, რადგან იმ ღამეს სირცხვილმა თვალები მეც დამთხარა! მახსოვს, რა გულისტკივილით ლაპარაკობდა ამ ფაქტის შესახებ ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე ახალგაზრდობის აქტივთან შეხვედრაზე.

ამიტომ იყო, რომ პარტიამ, ხალხმა ხმა ავიმაღლეთ, რომ ერის თეთრი პერანგი ცეცხლში გაგვეტარებინა და მღილისაგან გაგვეწმინდა. ეს დიდი საქმე პარტიამ ითავა. ეს ისეთივე აუცილებლობად გამოხდა, როგორც გათენება. ერს მოსწყურდა თუ არა, პარტიამ მშრალი კოკა მოძებნა და შენთან, ჩემთან, სხვასთან ერთად უკვდავების წყალი აპკურა ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას.

აი სად ამოიყარა თავთავი ეროვნულმა თავმოყვარეობამ და რა შორს გაურბის ყოველივე ეს მქისე ყოყლოჩინობას, ეროვნულ ფუქსავატობას, რომლისთვისაც ნაკლის მხილება შეუძლებელი და უკადრისი, თითქოს ერის სახელისთვის შესხმული ტალახია.

ასე აღდგა ნამდვილი ეროვნული სიამაყე. თორემ ხომ ნახეთ, სადამდე მიგვიყვანა ძველმა გზამ — ქურდმა ანაფორის კალთაში გამოიკრა ეროვნული საგანძური, უცოდინარობა ცოდნას კეტს უქნევდა, ინტელიგენტის თხელ მუცელს კომბინატორის აგორებული ღიპი და ინდაურის ღაბაბი დასცინოდა.

კიდევ კარგი. ღრუბლიდან მზე მოვკრიფეთ, თორემ მინდვრიდან ყანა გაგვეპარებოდა, ვაზი გაგვებუტებოდა, ჩვენი ცომი და საფუარი მარტო ხმიადს გამოგვაცხობინებდა, და ვეღარც ცეცხლი მოგვილოკავდა ცივ თონეს.

არა, სამშობლოვ, ასეთი შენს შეკერილ პერანგს არ უნდა იცვამდეს. ჩვენ ერისშვილი სხვანაირი ვიცით — მწყურვალს რომ განახავს და მიწას წყაროდ ამოანგრევს, მშიერს პურს ხელის გულზე გამოგიცხობს, გვალვაში ღრუბლებს მორეკავს და ზედ ცივ წვიმად დაგახურავს.

საბედნიეროდ, ასეთები საქართველოში დღეს ბევრია, მაგრამ ჩვენი მამულიშვილური ვალია იმ ცოტასაც ავუხილოთ სიხარბისაგან დავსილი თვალები, შევაგნებინოთ, რომ სიცოცხლე სწრაფად თავდება, როცა მარტო შენთვის, ხარჯავ და სოფლის ვალი და ვექსილი საფლავში მიგდევს, სამაგიეროდ, თუ ქვეყნისთვის ირჯები, მაშინ შენს სახელს სიკვდილიც ვერ გაექცევა, მაშინ იგრძნობ, როგორი ტკბილი ყოფილა სიცოცხლე, როგორ ლივლივებს ხოხბის ყელივით ჩვენი რესპუბლიკა, ჩვენი სამშობლო...

**ჯემალ აფციაური,**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

## მხიარული ფოტოობიექტივი





# საჭარა არ გეგონოთ...

დახედეთ ამ ორ ფოტოსურათს. არ გეგონოთ, თითქოს ერთი მათგანი სადღაც აფრიკაში იყოს გადაღებული, მეორე კი ყარაყუმის უდაბნოში. ორივე ფოტო რამდენიმე დღის წინათ არის გადაღებული ბიჭვინთაში.

ამ თვალწარმტაც კუთხეში, ზედ ლაჟვარდოვანი ზღვის პირას არის პატარა მონაკვეთი, რომელსაც „ოქროს ნაპირს" უწოდებენ.

აი იქ, სადაც ბიჭვინთის სახელგანთქმული ფიჭვნარი მთავრდება და მთის ფერდობები შეფენილია ფოთლოვანი ტყეებითა და ბუჩქნარით, ხოლო ზღვისპირა ზოლი ოქროსფერ ქვიშას დაუფარავს, მწვანეში ჩაფლულ პატარა სახლში ცხოვრობს ანიმალისტი ფოტოგრაფი ნიკოლოზ კულიკოვი.

რამდენიმე წლის წინათ ჩვენ უკვე ვესაუბრეთ მკითხველს ამ უშიშარ ვაჟკაცზე, რომელიც ცხოველთა სამყაროს დიდი მოყვარულია.

რომელი ცხოველი თუ ფრინველია, რომ მას არ გაეწვრთნას და გამოეკვებოს, ჰყოლია არწივის მართვენიც და მაიმუნებიც, ზღარბიც და კურდღელიც, დათვიც და ლომიც. ხშირად, როცა ტყე-ღრეში დახეტიალობდა, შეხვედრია ავადმყოფი დათვის ბელები და ირმის ნუკრები, სხვადასხვა ფრინველი. შინ მოჰყავდა, განკურნავდა, გამოკვებავდა და კვლავ თავისუფლად უშვებდა. ბევრი მათგანი ხშირად უკანაც დაბრუნებულა.

გავიდა წლები. ამ დღეებში კვლავ ვეწვიეთ კულიკოვს. იგივე მწვანე ლობე და იგივე ვოლიერები. ბინადარნი კი ახალნი დაგვხვდნენ — ორკუზიანი ჯამა აქლემი ნეკა და შავი მაიმუნი ზიკა.

ისინი ყოველ დილას, როცა მთების უკნიდან ამობრწყინდება მზე და სხივებს მოჰფენს უბეს, „ოქროს ნაპირზე" დამსვენებლებთან სტუმრად მიდიან ნეკა და ზიკა. ცხოველებთან თამაში ძალზე უხარიათ ბავშვებს.

მალე ცხოველთა ოჯახს შეემატებიან პატარა კენგურუ და ლომის ბოკვერი. ძალზე მაინტერესებს როგორ შეეგუებიანო ერთმანეთს, გვეუბნება ნიკოლოზი. მაგრამ თავის დროზე განა მან არ ასწავლა ერთად მშვიდობიანი ცხოვრება ლომსა და დათვს, რომლებიც დილიდან საღამომდე ელერსებოდნენ ერთმანეთს?..

**ვლ. გინზბურგი.**

# ფარდა ახსდა ტროპიკული თქეშის საიდუმლოს

მძლავრი ტროპიკული ღრუბელთა სისტემების სწრაფი, „აფეთქებითი" შექმნის, ამ ღრუბლებიდან ინტენსიური თქეშის დაწვიმების მექანიზმი ახსნა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა ა. ლუშნიკოვმა, მოსკოვის კარპოვის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ფიზიკურ-ქიმიური ინსტიტუტის თანამშრომელმა. მეცნიერის აზრით, ამ სწრაფად მიმდინარე სტიქიური პროცესების ძირითადი მიზეზია... სუპერწვეთები, ისინი თბილ ღრუბლებში იქმნება კოაგულაციის — იმ წვრილი წვეთების შეჯახებისა და შერწყმის შედეგად, რომლებსაც სწრაფად და ქაოსურად ატრიალებენ ღრუბლოვანი წარმონაქმნის შიგნით ჰაერის მძლავრი ნაკადები. როცა კრიზისულ სიმაღლეს მიაღწევენ, სუპერწვეთები, გრავიტაციის კანონის თანახმად, დედამიწისაკენ მოიშურებიან და გზად ხელს უწყობენ ღრუბლებში თავიანთი ორეულების ზრდას. ასე წარმოიშვება თავისებური ჯაჭვური რეაქცია, რომელსაც შედეგად მოსდევს ინტენსიური, კოკისპირული ნალექი, ღრუბლის სწრაფი „დაცლა".

თანდათან ისახება პერსპექტივა, რომ შემუშავდეს ტროპიკულ ღრუბელზე მართული ზემოქმედების ახალი მეთოდები გვალვიანი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სარწყავად დამატებითი ნალექის საჭირო „ულუფის" მიღების მიზნით.

თავისი გამოკვლევის შესახებ სპეციალისტმა მოახსენა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა ღრუბლებისა და ნალექების მიკროფიზიკის პირველი სამეცნიერო სიმპოზიუმის საბოლოო სხდომის მონაწილეებს, რომელიც თბილისში გაიმართა.

სიმპოზიუმში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიების სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების, ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურების წარმომადგენლები.

ღრუბელთა მიკროფიზიკის კვლევის დარგში საბჭოთა კავშირის, მთელი რიგი სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა მიღწევებმა ხელი შეუწყვეს ამინდზე აქტიური ზემოქმედების — სეტყვის თავიდან აცილების, ნისლის გაფანტვის, ღრუბლოვანი წარმონაქმნებიდან დამატებითი ნალექის მიღების ეფექტიანი მეთოდიკების შემუშავებას.

შემთხვევითი როდი იყო, რომ სიმპოზიუმი სწორედ თბილისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის ბაზაზე გაიმართა. ქართველ სპეციალისტებს ღრუბელთა მიკროფიზიკის დარგში კვლევის მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვთ შეძენილი.

სიმპოზიუმის მონაწილენი დიდი ინტერესით გაეცნენ ინსტიტუტის უნიკალურ კომპლექსს — ღრუბლოვან კამერას. აქ ყველა პირობაა შექმნილი ღრუბლებისა და ნისლის წარმოშობის პროცესების დიდი მასშტაბით მოდელირების, სეტყვის წარმოქმნის მექანიზმის შესწავლისათვის.

• •

სიმპოზიუმის დროს გაიმართა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების მრავალმხრივი თანამშრომლობის კომისიის „ღრუბელთა და ნალექთა მიკროფიზიკის" სამუშაო ჯგუფის სხდომა. დასახულია სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმა მომავალი ორი წლისათვის. (საქინფორმი).

# საზონათშორისო ტურნირებზე

**რიო-დე-ჟანეიროში** გრძელდება მოჭადრაკე ქალთა და ვაჟთა მსოფლიო პირველობების საზონათშორისო ტურნირები.

ქალთა ასპარეზობის მორიგ ტურში ნანა იოსელიანმა უკვე მეთერთმეტე გამარჯვება მოიპოვა. მან ამჯერად ბრაზილიელი რუთ კარდოსო დაამარცხა. იოსელიანს ახლა 11 ქულა, ერთი გადადებული და ერთიც გამოტოვებული პარტია აქვს. აღსანიშნავია ისიც, რომ მან უკვე შეასრულა საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივი და ალბათ უახლოეს ხანში ამ წოდებას ოფიციალურად მიიღებს.

დანარჩენი პარტიები ასე წარიმართა: უნგრელმა ჟუჟა ვერეციმ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ნემეტ ფიშდიკთან (გფრ). ნანა ალექსანდრიასა და არგენტინელი ედიტ სოპეს პარტია გადაიდო. ახლა ალექსანდრიას 7,5 ქულა და სამი გადადებული პარტია აქვს. ვერეცი 9,5 ქულითა და 1 გადადებული პარტიით მეორე ადგილზეა.



ათიდან — ათი!..
ამასოგაში — თერთმეტი!..
გ. ფირცხალავას ნახ.

ვაჟთა შეჯიბრების მეთხუთმეტე ტურში მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა. ტიგრან პეტროსიანმა მოუგო სიმონ კაგანს (ისრაელი), რობერტ ჰიუბნერმა (გფრ) — ჟაიმ სუნიეს (ბრაზილია), დიულა საქსმა (უნგრეთი) — რაფაელ ვაჰანიანს. ამჟამად ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: ჰიუბნერს 9 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, პეტროსიანს — 9, პორტიშს — 8 (1), საქსს — 8, სუნიეს და ვაჰანიანს — 7,5-7,5 ქულა.

# სად, რა, როდის
## გუშინ, გუშინწინ

**სამბო.** მადრიდში დამთავრდა იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი. გუნდურ ასპარეზობაში ყველას აჯობეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა მონღოლეთის ნაკრები, მესამეზე — ესპანეთისა. საბჭოთა იუნიორებმა პირად ასპარეზობაში ოთხი ოქროს და ხუთი ვერცხლის მედალი მოიპოვეს. მსოფლიო ჩემპიონატში ჩაებნენ იუნიორთა უფროსი კოლეგები.

**ფრენბურთი.** პარიზსა და ლიონში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ასპარეზობათა მორიგი ტურის მატჩები ასე დამთავრდა: **ლიონი. ქალები.** სსრ კავშირი-ჰოლანდია 3:0, გდრ-უნგრეთი 3:1, ბულგარეთი — რუმინეთი 3:0. ბოლო ტურის წინ სსრ კავშირისა და გდრ-ის ნაკრებ გუნდებს 8-8 ქულა აქვთ. **პარიზი. ვაჟები.** სსრ კავშირი-ჩეხოსლოვაკია 3:0, პოლონეთი-საფრანგეთი 3:2. საბჭოთა ნაკრებს გუშინ გვიან ღამით როგორც არ უნდა დაემთავრებინა ბოლო მატჩი ფრანგებთან, უკვე განაღდებული ჰქონდა ევროპის ჩემპიონობა.

# პირველად...

**დაიწყო** საქართველოს 1979 წლის ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის მოჭადრაკე ვაჟთა შორის. შეჯიბრება ასეთი ახლებური სისტემით (შესარჩევი მასობრივი ტურნირი, პირველი ლიგა, უმაღლესი ლიგა) პირველად იმართება.

საქართველოს სამივე დიდოსტატმა ვაჟმა ასპარეზობაში მონაწილეობის მიღება ვერ მოახერხა: გურგენიძე ესპანეთში გაემგზავრა, სადაც მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში ნინო გურიელის სეკუნდანტი იქნება. გუფელდი ასევე ესპანეთში, საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს მსოფლიოს ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძესთან ერთად, ხოლო გიორგაძის წლევანდელი კალენდარი მეტად დატვირთულია — იგი საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ ემზადება.

ყველა დანარჩენი უძლიერესი მოჭადრაკე ბრძოლაში ჩაება: 69 წლის შიშოვი, უბილავა, ზაიჩიკი, მიქაძე, ჩეჩელიანი, ბოკუჩავა, სტურუა, გედევანიშვილი, ჩიქოვანი, აზმაიფარაშვილი და სხვები.

პირველ ტურში თბილისელები ჩიქოვანი და უბილავა ყაიმზე შეთანხმდნენ. ზაიჩიკმა (თბილისი) მოუგო ეფიმოვს (თბილისი). ნეურონოვმა (ბათუმი)—აზმაიფარაშვილს (თბილისი), ჩახოიანმა (თბილისი) — ჭაბუკ გია გიორგაძეს (ქუთაისი), ჩეჩელიანმა (თბილისი) — ბაბახანოვს (თბილისი). დანარჩენი პარტიები გადაიდო.

რას არ გაიგონებს კაცი!..

□

# შესაჭმელად... მზადაა „ფიატ-124"

**იტალიელმა** უმერტო ბენინკასომ გადაწყვიტა მილიონი ლირის საფასურად შეჭამოს... ავტომანქანა „ფიატ-124". ეს გადაწყვეტილება მას ერთბაშად არ მიუღია. ჯერ კიდევ კარგა ხნის წინათ, 1940 წელს, უმერტომ ოქროს ბეჭედი მოიპარა და გადაწყვიტა, კაპიტალის შესანახად ყველაზე საიმედო საცავი საკუთარი კუჭი იქნებაო. შემდეგ მეტი ქნა — დაიწყო ვარჯიში ყოველგვარი ნივთების „ყლაპვის დარგში" და მალე საჯაროდაც დაიწყო გამოსვლა ამ „ორიგინალურ ჟანრში". ბენინკასო ყოველ კვირადღეს სოფელ-სოფელ დადიოდა და წარმოდგენებს მართავდა: ას ლირად ყლაპავდა ჭანჭიკებს, რკინის ნაჭრებს, ჭურჭლის ნამსხვრევებს და ა. შ. ექიმების აზრით ყველაფერი ეს ბენინკასოს კუჭის წვენის თავისებურებაზეა დამოკიდებული...

ახლა იტალიელმა გადაწყვიტა, ექვსი თვის განმავლობაში მთელი ავტომანქანა „ფიატი" შეახრამუნოს. როგორც გამოიანგარიშეს, წერს „იზვესტიაში" დ. სკაჩკოვა, ამისათვის მან ყოველდღიურად ორ კილოგრამამდე ლითონი უნდა ჩაყლაპოს.

# თავი დაიხსნა...

**ირანის** ქალაქ მეჰამაბადის ისლამის სასამართლომ შაჰის ავადსახსენებელი დაცვის — სავაკის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოხელეს 400 როზგი მიუსაჯა. სასჯელმისჯილმა ისლამის სასამართლოს წევრებთან ხანგრძლივი ვაჭრობის შემდეგ 5 მილიონ რიალად „გამოისყიდა" 350 როზგის დარტყმა.

ეს თანხა უსახლკაროთა დახმარებას მოხმარდება, ხოლო დარჩენილი 50 როზგი სასამართლომ „ძალაში დატოვა", რათა ყოფილმა სავაკელმაც იგემოს „გაროზგვის გემოო", — უთხრა პარსის სააგენტოს კორესპონდენტს ისლამის სასამართლოს თავმჯდომარემ სადეკ ხალხალიმ, გვატყობინებს საკდესის თეირანელი კორესპონდენტი.


**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი**
(აკ. წერეთლის გამზ. № 2)



17 ოქტომბერს
**ფეხბურთი**
სსრ კავშირის პირველობა
„დინამო" — (თბილისი) —
„დინამო" (მოსკოვი)
ძირითადი შემადგენლობა.
დასაწყისი 19 საათზე.

ორგანიზაციებზე ბილეთები გაიყიდება 15 და 16 ოქტომბერს დილის 10 საათიდან. ბილეთების საერთო გაყიდვა — 17 ოქტომბერს დილის 10 საათიდან „დინამოს" სტადიონის № 1-დან 16 სალაროების ჩათვლით. № 7 სალაროში ბილეთები გაიყიდება დეპუტატებისათვის, ლაურეატებისათვის, გმირებისათვის და სამამულო ომის ინვალიდებისათვის.

სათადარიგო შემადგენლობის თამაში გაიმართება 16 ოქტომბერს 18 საათზე „ლოკომოტივის" სტადიონზე.


## ირონიული ღიმილი



დისერტანტი
დახლის ორივე მხარეს
ბატონკაცი
ლ. მართაშვილის ნახ.

აღზრდა-განათლება

# დაბრუნებული ბედნიერება

**ოცი** წლის ნატვრის შემდეგ როგორც იქნა ახდა უკვე არცთუ ახალგაზრდა მეუღლეთა ოცნება, რომლებსაც ძალზე სურდათ ბავშვი ჰყოლოდათ: მათ შეეძინათ გოგონა, რომელსაც ნატაშა დაარქვეს. მაგრამ ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. რვა თვის ბავშვი ავად გახდა და დაყრუვდა.

— თავდაპირველად არ გვჯეროდა, რომ ეს მართალი იყო, — გვეუბნება მაგადანელი ვალენტინა სამოდუროვა. — ბავშვს ვემუდარებოდით ერთი სიტყვა მაინც ეთქვა. მაგრამ ნატაშა დუმდა. სიცოცხლის ხალისი დავკარგეთ. თითქოს უსაშველო მდგომარეობა შეგვექმნა...

ბავშვები სხვადასხვა მიზეზით ყრუვდებიან. ზოგჯერ ყმაწვილი რამდენიმე საათში კარგავს სმენას, ზოგჯერ ეს პროცესი წლების მანძილზე გრძელდება. მაგრამ ასეც და ისეც — ეს საშინელი უბედურებაა. სმენა არა მარტო ერთ-ერთი ძირითადი არხია, რომლის მეშვეობითაც ადამიანი ინფორმაციას იღებს გარემოდან, არამედ, რასაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს, იგი აუცილებელია მეტყველების განვითარებისათვის.

როგორ დავეხმაროთ ბავშვებს?

### „ვუმკურნალოთ და ვასწავლოთ"

ასე უპასუხა ვალენტინა სამოდუროვას კითხვას მაგადანის სურდოლოგოპედიური კაბინეტის ექიმმა, რომელსაც დახმარებისათვის მიმართა მან. პასუხის პირველი ნახევარი, როგორც ჩანს, განმარტებას არ მოითხოვს. მეორე კი ნიშნავდა: სპეციალური სწავლისა და აღზრდის მეშვეობით დახმარებოდნენ ბავშვს ყრუმუნჯობის დამარცხებაში...

არა მარტო რეაბილიტაცია, არამედ ინტეგრაციაც, ესე იგი სმენადაკარგული ბავშვების ჩაბმა ცხოვრებაში ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო გარემოს პირობებში ზოგჯერ აკვნიდანვე იწყება. ამ მიზნით ჩვენს ქვეყანაში გახსნილია ასობით სურდოლოგოპედიური კაბინეტი და სკოლამდელთა დაწესებულება, სადაც მკურნალობენ, ასწავლიან და ზრდიან სმენადაქვეითებულ ბავშვებს. მაგრამ, სპეციალისტების აზრით, რეაბილიტაციას არავითარი შედეგი არ მოჰყვება, თუ ამ საქმეში მშობლები არ მონაწილეობენ.

ახლა ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე ათასი მშობელი ოჯახში ზრდის მცირეწლოვან ყრუ ბავშვებს. ისინი სარგებლობენ როგორც სურდოლოგოპედიური კაბინეტების, ისე „მშობელთა უნივერსიტეტის" რჩევა-დარიგებით. ასე ეწოდება ყოველთვიური ჟურნალის „ვ ედინომ სტროიუ" ერთ-ერთ კარს. ამ ჟურნალს ყრუთა სრულიად რუსეთის საზოგადოება უშვებს და მთელ ჩვენს ქვეყანაში ვრცელდება. ამ თერთმეტი წლის წინათ ჟურნალმა დაიწყო ყრუ ბავშვების აღზრდისა და სწავლების საკითხებზე სტატიების გამოქვეყნება. მათი ავტორები არიან სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის დეფექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები. მეცნიერებმა შეიმუშავეს პირველი თვეებიდან სკოლაში შესვლამდე ყრუ ბავშვის ოჯახში აღზრდისა და სწავლების სისტემა.

### დაგჭირდებათ დიდი შრომა

მხოლოდ ამის ფასად მიაღწევთ წარმატებას, ამბობს სტავროპოლის მხარის ქალაქ გეორგიევსკის მცხოვრები ვლადიმერ რუსაკოვი. მისი ვაჟი იგორი დაბადებისთანავე დაყრუვდა. დედმამამ დაიწყო ბიჭუნასთან მეცადინეობა „მშობელთა უნივერსიტეტის" დავალებების მიხედვით. მაშინ იგორი ორი წლისა და სამი თვის იყო.

— პირველი დავალებანი საკმაოდ მარტივად გვეჩვენა. უნდა გვესწავლებინა ბავშვისათვის, რომ მიებაძა ჩვენი თითების მოძრაობისათვის, აეგო პირამიდა, ეგორებინა ბურთი, შეებერა წვრილად დაჭრილი ქაღალდის ზოლებისათვის, ეგრძნო ვიბრაცია ჰაერბურთის მეშვეობით.

იგორი სწრაფად ხვდებოდა, თუ რას მოითხოვდნენ მისგან. მაგრამ მერე, როცა რუსაკოვებმა სცადეს ესწავლებინათ მისთვის სიტყვების წარმოთქმა, საქმე გაჭირდა. ზოგჯერ ბავშვი უარს ამბობდა ამა თუ იმ ვარჯიშის შესრულებაზე და ჭირვეულობდა.

— სასო წარგვეკვეთებოდა ხოლმე, — იხსენებს ვლადიმერ რუსაკოვი, — მაგრამ ყოველი მცირეოდენი გამარჯვებაც კი ჩვენთვის დიდი ზეიმი იყო.

ასეთი ზეიმი იყო ოჯახში იმ დღესაც, როცა იგორმა პირველი სიტყვა წარმოთქვა. მაშინ სამნახევარი წლისა იყო. ახლა ცხრა წლისაა და მეორე კლასში სწავლობს სკოლაში, სადაც ზოგიერთ საგანს ინგლისურად ასწავლიან. მასწავლებლების მეტყველებას იგი ტუჩების მოძრაობით აღიქვამს.

მაგრამ იქნებ ეს ბიჭუნა ვუნდერკინდია, ხოლო მისი მშობლები — თანამედროვე პესტალოცები? სრულიადაც არა. სხვა ასეთი მაგალითების მოყვანაც შეიძლება.

### მშობელთა კონფერენციები

ამას წინათ მოსკოვში „მშობელთა უნივერსიტეტის" 400-მდე „მსმენელი" შეიკრიბა მორიგ კონფერენციაზე, რომლებიც ყოველ ორ წელიწადში ეწყობა. აქ ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებასა და აზრებს მშობლები, გამოდიან მეცნიერები, რომლებიც საჭირო რჩევა-დარიგებას აძლევენ შეკრებილთ.

დემოკრატ ქალთა მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტმა ფრიდა ბრაუნმა, რომელიც ახლახან მოსკოვში იყო და რამდენიმე ყრუ ბავშვს ესაუბრა, თქვა:

— იმან, რაც აქ ვნახე, გამაოცა. ეს ბავშვები ხომ მარადიული დუმილის სამყაროდან გამოუყვანიათ...

ჩვენს ქვეყანაში ათასობით მშობელი მეცნიერთა დახმარებით წარმატებით ებრძვის შვილების სიყრუეს. ამას ადასტურებს ნატაშა სამოდუროვას ბედიც. წელს იგი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პირველი კლასის მოსწავლე გახდა.

**ი. გიტლიცი,**
ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი.


რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.